

ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 12

თბილისი, 21 მაისი

ქრეველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. 1877—1906 ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

სარჩაზი: პოლიტიკა და კულტურა, მარაბუხი. — ავტონომიისათვის ფრანკია, ა. სი. — ცეცხლითა და შახვილითა, სვ. ყ. — ისა. ჰენრი იბსენი, მ. ს. — ლისა. — ეიფელის კოშკი, (ლექსი) აკაკი-სა. — მუშათა კავშირები, კ. ხ. — სი. ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში, (გაგრძელება) ივ. ჯავახიშვილი. — დედა მიწა და ხოქვა, ვაჟა-ფშაველასი.

ქალიშვიკი და კულტურა

რუსეთის ეურნალ-გაზეთებში, იქნება, მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში იმდენი არა დაწერილიყოს რა საქართველოს შესახებ, რამდენიც დაიწერა ამ უკანასკნელ ორ წელიწადში. ასეთი, წინანდელ დროსთან შედარებით, განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის პრესისა ჩვენდამი იხსენება იმ გარემოებით, რომ განმთავისუფლებელ მოძრაობაში დიდი მონაწილეობა მიიღო ჩვენმა მხარემ, ხოლო რუსეთის მოწინავე პრესისა, რასაკვირველია, მხარს აძლევდა მთელს სახელმწიფოში ამ მოძრაობას და ამიტომ დიდს ყურადღებით ეკიდებოდა და მრავალ წერილს უძღვნიდა ყოველ კუთხეს, სადაც სარევეოლუციო მოქმედების გაძლიერებას შეამჩნევდა ხოლმე. და ასე, ამ უკანასკნელ დროს, რუსეთის პრესის ყურადღება არ მოკლებია ჩვენს მხარესაც და ეს ყურადღება ხშირად ისეთი სიტყვებით იყო გამოთქმული, რომ ჩვენს თავ მოყვარობას ელამუნებოდა და ასიამოვნებდა. გაზეთებმა ძალიან ზევით-ზევით აგწვიეს და, პოლიტიკურ ბრძოლის გამოცხობით, ისეთი დიდი საზომით სჯიდნენ ჩვენს თანამედროვე კულტურულ მდგომარეობაზე, რომ გარეშე ადამიანი უეჭველად ყალბ წარმოდგენას შეადგენდა ჩვენს გონებრივ განვითარებაზე.

უცხოთა გადაქარბებული აზრი ქართველ ხალხის თანამედროვე კულტურის სიმალღეზე, რასაკვირველია, მაინცა და მაინც მავნებელი არაა და ჩვენს საქმეს არას დაუშურს. მაგრამ ეგვევ არ ითქმის იმ შემთხვევაშიაც, როცა ასეთი გადაქარბებული აზრი თვით ქართველობაშიაც ფეხს მოიკიდებს და გავრცელდება. საზოგადოდ ყალბი, სინამდვილის წინააღმდეგი წარმოდგენა თავის თავზე მავნებელია, ვინაიდან იგი ხელის შემშლელია რეალურ ძალღონესთან შეგუებულ საზოგადოებას და მავნებელია იგი, როცა საკუთარი კულტურული დოვლითი და ძალღონე შეუფერებელად გადიდებული და გაზვიადებულია. ეს არის მავნებელი ნაწინა, რომელსაც ცხოვრებაში ხშირად მოლოდინის გაკრუება და თავის უღონობის მწავედ განცდა მოჰყვება ხოლმე შედეგად...

და დღეს სწორედ ისეთი ხანაა და ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემა იმგვარად გამოიხატება, რომ ადვილად შეიძლება ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდეს ზემოაღ-

ნიშნულის მსგავსი გაბერილი წარმოდგენა შესახებ ქართველ ხალხის კულტურულ მდგომარეობისა და საზოგადოებრივი ღონის ძლიერებისა. ბევრია დღეს ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, რომელიც საქმის ვითარებაში ღრმად დაუყვირებელ ადამიანს საფუძველს მისცემს ამგვარ აზრის შესათვისებლად და, მაშასადამე, თავისი თავის მოსატყვილებლად. ამ უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში ვის არ უნახავს, მაგალითად, სახალხო მიტინგები და არ მოუსმენია იქ წარმოთქმული სიტყვები და რეზოლუციები. ერთი-ორი და მეორეც ხშირად ისეთი ხასიათისა ყოფილა, რომ მის გამოცხობით მოწინავე ევროპის არც ერთი განათლებული კუბე არ შეტყვებოდა. თითოეულ ჩვენგანს მოუსმენია ამ ბოლო დროს გატაცებითა და რწმენით აღსავსე კამათი სხვა და სხვა კრებებსა და მიტინგებზე, რომელიც უნებურად ევროპულ პოლიტიკურ ცხოვრებას და იქაურ ხალხის გონებრივ სიღიზიზღეს მოაგონებდა მაყურებელს. პარტიული დაყოფა და ბრძოლა ჩვენში ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და ისე ენერგიულად სწარმოებს, რომ ამ მხრივ ევროპასაც კი არ ჩამოვუვარდებით. ქართლის მიყრუებულ სოფლებშიაც კი გლეხები გუშინ სხვათა შორის პრესის თავისუფლებას და სახელმწიფოსგან ეკლესიის განცალკევებას თხოულობდნენ მათსავე კრებებზე შედგენილ რეზოლუციებში. დღეს ერთ-ერთი უკიდურესი დემოკრატიული პარტია, რომელიც დემოკრატიულ რესპუბლიკას და სოციალიზმს აღიარებს, მოუხდელია მთელ საქართველოში და ბრწყინვალედ იმარჯვებს არჩევნებშიც. პარტიული ბრძოლა უკიდურესობამდის არის მიღწეული. ერთი სიტყვით, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება, შეგვიძლია ვთქვათ, „აღულს და გაღმოდის“.

შეიძლება, ამიტომ, ეს გარემოება, რომელიც გარეგნად განათლებულ ევროპის ცხოვრებას ემსგავსება, ვინმეს ეგონოს ხალხის მაღალ კულტურისა და გონებრივ დაწინაურების მაჩვენებელი. მაგრამ ნამდვილად კი ეს პოლიტიკური ხმაურობა და ღრინაცელი, საუბედუროდ, არაა იმის უტყუარი მომასწავებელი, რომ ხალხი კულტურის მხრივ შესაფერად მომზადებული და განვითარებული არის. ერთსა და ორ წელიწადში ხალხი ვერ გარდაქმნება გონებრივად და ვერ აღიქურვება სწავლა-განათლებით; ქართული გლეხი, შავალითადაც, ისევე წერა-კითხვის უცოდინარი იყო შარშან, „რეზოლუციების“ შედგენის დროს, როგორც შარშან-წინ, და ამიტომ პრესის თავისუფლების მოთხოვნა ამ გლეხის მიერ, რომელმაც კითხვა არ იცის და თავის დღეში გაზეთი ხელში არ აუღია და მისი გემო არ გაუტყვია, არ შეიძლება ისეთ მოთხოვნად ჩავთვალოთ, რომელიც ვითომ მას შარშან შეგნებული და შესისხლობრცხული ჰქონოდა. და ეგვევ ითქმის ბევრ სხვა დემოკრატიულ პრინციპზედაც, რომლებიც ჩვე-

ნებურ სოციალდემოკრატიის ზოგიერთ მოძღვართ, არჩევნებში პარტიის გამარჯვების საფუძვლით, ღრმად ჩანერგილი ჰგონიით ხალხის გულსა და გონებაში. სოციალ-პოლიტიკურ ბრძოლას და საქმიანობას მხოლოდ მაშინ აქვს ხასიათი შეგნების და ცნობიერებისა, როცა მას წინ უძღვას რამდენიმედ მიანტ სწავლა და გონებრივი განვითარება. მართალია, პოლიტიკური ბრძოლა და რევოლუციები თავის მხრივ ხელს უწყობს და ავრცელებს ხალხში სწავლა-განათლებას. მ ეს ხდება არა ერთსა და ორ დღეში, არამედ ცანჯარას დიდი ხნის განმავლობაში.

დღეს-დღეობით კი ჩვენში სწავლა-განათლება ძალიან მცირედია გავრცელებული. თუ ვაყვასობს სხვა კუთხეებს შევადარებთ, საქართველოში წერა-კითხვა უფრო მოღებულა, მაგრამ ჩვენი სამშობლოს ეს დავინაუტრება არის შედარებითი და არა—აბსოლუტური. ქართველ ხალხის უმრავლესობა დღესაც წერა-კითხვის უკოდინარი არის. 1897 წელს, საყოველთაო აღწერის ციფრების თანახმად, ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა 868766 ქართველი, ამთგან წერა კითხვის მკოდნე (ორივე სქესისა) იყო—122891 ანუ 14,20%; ტფილისის გუბერნიაში ქართველების საერთო რიცხვი იყო 467631, ამთგან წერა-კითხვის მკოდნე (ორივე სქესისა) 66211 ანუ 14,10%. საერთოდ ორსავე გუბერნიაში მცხოვრებ 1.336397 ქართველში წერა-კითხვა იკოდა 189102 ანუ 14,20%-მა. როგორც ხედავთ, წერა-კითხვის მკოდნე მცხოვრებთა მხოლოდ მეშვიდედი ნაწილი ყოფილა.—მეტე არა და მარტო წერა-კითხვის კოდნა ხომ არაფერი საბუთთა ადამიანის სწავლა-განათლებისა. იმავე აღწერის ცნობებით 1897 წელს მთელ საქართველოში ყოფილა მხოლოდ 12867 ადამიანი (მცხოვრებთა 0,90%), რომელთაც პირველადწებითზე უმაღლეს სკოლებში ჰქონიათ სწავლა დასრულებული. ცხადია, ასეთი მცირე ციფრი, რომელიც ჩვენში „ნასწავლითა“ როდენობას გვიდგენს თვალ-წინ კონკრეტულად, ვერ ჩაითვლება მიანცა და მიანც ჩვენი დიდ კულტურულ განვითარების მაჩვენებლად. ვთქვათ, 1897 წლის შემდეგ, 9 წლის განმავლობაში, სწავლა-განათლებამ შესამჩნევად იმატა, მაგრამ ეს მატება დღეს წინანდელზე ერთი-ორად მეტეც რომ ვიგულისხმობთ, მაშინაც არ ითქმის, რომ გონებრივ განვითარების აუცილებელი საშუალება—წერა-კითხვა—ვითომ საკმაოდ იყოს ხალხში გავრცელებული.

და უამისოდ კი, ე. ი. სანამ ხალხს ელემენტარული სასკოლო განათლება აკლია და საკითხავად შესაფერი მწერლობა არ მოეპოება, ყოვლად შეუძლებელია გარკვეულ ცნობიერების საფუძველზე იყოს დამყარებული მისი პოლიტიკური საქმიანობა. ამიტომ ეს სავანი ჩვენის მხრივ დიხსია განსაკუთრებულ ყურადღების და მზრუნველობისა.

სახალხო სწავლა-განათლება სახელმწიფოებრივი საკითხია და ამიტომ ეს საქმე სვესებით სახელმწიფომ უნდა მოაწყოს და ჩვენ ცალკე მეცადინეობა აღარ გვქირიათ, იტყვის ვინმე. მართალია, სწავლა-განათლებას საქმე მთელს სახელმწიფოს შეეხება და ამიტომ საკანონმდებლო დაწესებულებამ უნდა გახადოს სავალდებულოდ საკმაო სკოლების დაარსება და საყოველთაო სწავლება. შეიძლება ვიფიქროთ იდეეც, რომ რუსეთის სათათბირო დააკანონებს ამას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგვე სათათბირო ჩვენ არ შეგვიდგენს არც სასკოლო სახელმძღვანელოებს და არც საკითხავ წიგნებს წიგნთსაცავ-სამკითხველოებში დასაწყობად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,—პოლიტიკური უფლებები და რევოლუციები სა-

ქირო და აუცილებელია, მაგრამ ამასთანვე საქირო და აუცილებელია ისიც, რომ ხალხმა გამოიხინოს შემოქმედებითი ძალონე და მოპოებულ უფლებით სარგებლობა ისურვოს.

ამ მხრივ ჩვენში დღეს თითქმის არა კეთდება რა. ყველას პირი პარლამენტისაკენ გვაქვს მიქცეული, იქიდან ველით ყველაფერს და გვიფიქვლება, რომ, რაც უნდა ნაყოფიერი იქნეს ამ პარლამენტის მუშაობა, იგი მიანც გონებრივ სწავლას არ გამოგვიგზავნის მზა-მზარეულად. ამ საზრდოს შეკრება შექმნა და ამისათვის კი საქიროა გარჯა და მეტი-თობა: დღეს ქართულ ენაზე სავკავეკიან პარაშურებს გარდა არავითარი მზზრდილი და საფუძვლიანი წიგნები არ იბეჭდება და თუ ხალხი შემდეგშიაკ აშვარ საზრდოს შემხედვარე დარჩა, იგი კულტურულად ნაბიჯს წინ ვერ გადასდგამს და ერთ ადგილას გაიყინება, თუნდა მას სხვა და სხვა პარტიებმა ქრისტეს მგორედ მოსვლამდინაც სულ უქადაგონ და უმგორონ, თავიანთ პრაგრამებისაშებრ, ქვეყნად მომავალ სამოთხისა და ბენდიერების დამყარება.

და, აი, რათა ეს მოსალოდნელი კულტურული დაქვითება თავიდან ავიშორეთ, აუცილებლად საქიროა ენერგიული კერძო თაოსნობა. განსაკუთრებით ამ საქმეში გეპართეს კერძო თაოსნობის გაძლიერება და დიდის გულმოდგინებითა და მუყათობით წარმართულ მხნე მუშაობის განაღება.

მარბაუ

სახელმწიფო საპარლამენტო შრომები

სახელმწიფო სათათბიროში უკვე დაიწყო პარტიული დიფერენციაცია. დღემდის სათათბიროში არსებობდა მხოლოდ სამი ჯგუფი: კონსტ. დემოკრატიული, 17 ოქტომბრის მინიფისტის კავშირი და ეგრედ წოდებული „შრომის ჯგუფი“. კონსტ.-დემოკრატიული ჯგუფი სათათბიროში შევიდა წინდწინვე შემუშავებულ პროგრამით და დაემორჩილა პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ და ტქტიკურ გეგმას. ოქტომბრისტებსაც აქვთ თავიანთი პროგრამა, მაგრამ პარტიის დადგენილებას არ ემორჩილებიან და ყოველ საკითხში საკუთარ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ. შემოსხნებულ ორსაპარლამენტო ჯგუფისგან შესამჩნევად განსხვავდება „შრომის ჯგუფი“, რომელიც არ წარმოადგენს ამა თუ იმ პარტიის საპარლამენტო ფრაქციას, არა აქვს დაწვრილებით შემუშავებული პოლიტიკური და სოციალური პროგრამა და არ ემორჩილება არც ერთ არსებულ პარტიის დადგენილებებს. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ჯგუფში უპარტო რადიკალებიც არიან, უპარტო სოციალისტებიც, სოც.-დემოკრატებიც, სოც.-რევოლუციონერებიც და გლახთა კავშირის წევრებიც. სწორედ ასეთსავე უპარტო ჯგუფს შეადგენს ახლად დაარსებული ავტონომისტთა საპარლამენტო ფრაქცია, რომელსაც როგორც თვითონ ჯგუფის სახელი ამტკიცებს, აქვს მხოლოდ ერთი მიზანი და განსაზღვრული პლატფორმა: ოლქობრივი და ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია.

წრეულს, მათის დამდგეს, პეტერბურგში შეკდვა ავტონომისტ-ფედერალისტების კება, რომელსაც მიზნად ჰქონდა სრულიად რუსეთის ავტონომისტ-ფედერალიტთა კავშირის შედგენა და სათათბიროში ამ კავშირის საპარლამენტო ფრაქციის დაარსება. კავშირიც შესდგა და საპარლამენტო ფრაქციაც დაარსდა. თვის თავად ცხადია, რომ არც კავშირს და არც საპარლამენტო ფრაქციას არ შეეძლო ისეთ პროგრამის შედგენა რომელსაც დაემყოფილებინა ყველა ავტონომი-

მოხერხ. ავტონომიის იდეას მრავალი მოზრე ჰყავს სხვა და სხვა პარტიებში, — სოციალისტებში, დემოკრატებში, კონსერვატორებსა და კოერკალეზშიაც; მაშასადამე, შეუძლებელია ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიურ პლატფორმის გამონახვა, რომელიც პარტიულად ერთად შეაერთებდეს ამ სხვა და სხვა პარტიულ ფრაქციას და ავტონომისტთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციაც ასე მოიქცა: მან პლატფორმიდან სრულიად გამოსტოვა პოლიტიკური და ეკონომიური ნაწილი და მიიღო ის პლატფორმა მინიმუმი, რომლის განხორციელებას ერთნაირად ეცდებიან სოციალისტებიც და დემოკრატებიც.

რედაქცია ამ პრაგმატის ასეთია:

„1) ავტონომისტთა კავშირის საპარლამენტო ფრაქცია არსდგება საოლქო ან ეროვნულ-ტერიტორიულ საფუძველზე ერთმანეთის დასახმარებლად და დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებულ ავტონომიის იდეის დასაცავად; 2) ავტონომისტთა კავშირის საპარლამენტო ფრაქცია მომხრეა მთლიანობისა რუსეთის სახელმწიფოსი, როგორც ერთეულისა; 3) ავტონომისტთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციას საქიროდ მიაჩნია, რაც შეიძლება, ფართო დეცენტრალიზაციის მოხდენა სახელმწიფო მართვა გამოებაში; დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს დემოკრატიულ საფუძველზე თანხმად (კალე ოლქების ფართო ავტონომიის პრინციპისა, რომელიც უნდა დაამყაროს რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებში); 4) ყოველ კალე ოლქისა ან ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიურ ერთეულის გეოგრაფიული და უფლებრივი საზღვრები უნდა შემუშავდეს თანხმად მცხოვრებთა სტრუქციისა იმდენად ზამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება ავტონომისტთა კავშირის ძირითად პრინციპებს. ავტონომისტთა კავშირის საპარლამენტო ფრაქცია სავსებით დაუქერს მზარს საოლქო ერთეულების ურვილესს, რომელნიც არ გასცდებიან ფართო ოლქობრივ ერთმართველობის პრინციპის ფარგალს; 5) იმ ოლქებში, სადაც ერები ერთმანეთში არიან არეული, რუსეთის იმპერიის ძირითად კანონებით უნდა უზრუნველყოფილ იქნას უმცირესობის მოქალაქობრივი, კულტურული და ეროვნული უფლებანი, — უფრო იმ აზრით, რომ ყოველ მოქალაქეს ნება ქონდეს სამშობლო ენა იმაროს სკოლებსა, სასამართლოებში და სახელმწიფო დაწესებულებებში; 6) საქირა დაუყოლებლივ დაკანონდეს უფლება ეროვნულ თვითგამორკვევისა დაუქებულ იქმნას ყველა ის უპირატესობანი და შემზღუფველი კანონები, რომელნიც გამოიკა ამა თუ იმ ერისა და არწმუნოების შესაზღუფად ან დასაცავად.“

სატელეგრაფო საავენტომ, რომელმაც ეს პრაგმა ვადოგვცა, იქვე შემდეგი ცნობაც მიაკვრა: „კალეების ორგანიზაციის წინააღმდეგა ავტონომისტთა კავშირისა, რადგან გი საერთო საქმეებსაც აწეებს და ავტონომიის საკითხსაცოქ საქირველი არაფერია: ავტონომისტთა საპარლამენტო ფრაქციაც სწორედ ამიტომ შესდგა, რომ ავტონომისტები რენდობიან კადეტებს, რომელნიც ისე თავაკოდებით არ აიცავენ ავტონომიის იდეას, როგორც დაიცავს ზემოხსენებული ფრაქცია. ამა როგორ და რით უნდა შეუშალოს ელი ამ ჯგუფს საერთო საქმეს? ავტონომისტები შეერთდნენ როლოდ ავტონომიის იდეის დასაცავად, დანარჩენ საკითხებში კი ფრაქციის ყოველი წევრი სრულიად თავისუფალია და იმ პარტიის დროშის ქვეშ იმუშავებს, რომელსაც ის ეუფენის. „შრომის ჯგუფი“, რომელიც მიეზრო ავტონომისტთა ფრაქციას, შესდგა მშრომელ ხალხის ინტერესების დაცვის პრინციპზე და კალე პოზიცია დაიჭირა,

მაგრამ ვინა ამთ იგი საერთო საქმეს ოლაკობს? სრულიადაც არა! ზოგიერთები იტყვიან, „შრომის ჯგუფი“ პრაგმისიული ჯგუფიაო. მაგრამ ვინ დაამტკიცებს, რომ ავტონომისტთა ჯგუფი რეკრესიულია? ვერაფერ ვერ დაამტკიცებს პირიქით, ავტონომისტთა ფრაქცია დემოკრატიული ჯგუფია, რასაც ეთანხმება ზომიერი „რუს. ეფ.“, რომელიც სწერს: „თვით უსასტიკესი კრიტიკოსიც ვერ გამოხახავს ავტონომისტთა პრაგმაში ვერც ვიწრონაციონალისტურსა და ვერც ანტიდემოკრატიულ ტენდენციასო“. მაგრამ ავტონომისტთა ჯგუფის დემოკრატიზმის დასამტკიცებლად საქირო არ არის „რუს. ეფ.“-ის მოწმობა. საქირისა გავხსენათ, რომ ამჟამად ავტონომისტ-ფედერალისტების ფრაქციაში ითვლება 200 ზე მეტი დეპუტატი. და „შრომის ჯგუფი“, ხოლო მოიძებნება თუ არა ეხლანდელ სათათბიროში 200 ანტიდემოკრატი დეპუტატი, — ეს ყველამ იცის.

დღეს თუ ხვალ სათათბიროს შეიმატება ასამდე დეპუტატი კავკასიიდან და ციმბირიდან. აქედან უეჭველია, უზრავლესობა ავტონომისტი იქნება, რადგან ციმბირელებიც ისეთივე თავგამოდებით იცავენ ავტონომიის პრინციპს, როგორც პოლონელი და მალოროსთა დეპუტატები. ავტონომიაზე, რასაკვირველია, არც კავკასიელი დეპუტატები იტყვიან უარს, გარდა სოც. დემოკრატებისა, რომელნიც შეიძლება მხოლოდ საქართველოდან წავიდნენ.

ასეა თუ ისე, ამ მოკლე ხანაში ავტონომისტთა ჯგუფი სათათბიროში 300-მდე ავა, რაც უმრავლესობას შეადგენს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტონომიის დაკანონებას. ავტონომიის წინ აღმდეგი იქმნება მხოლოდ თხუთმეტობა ოქტომბრისტი. მცირე ნაწილი კადეტებისა, უპირატეო გლეხები და დოქტრინიორი მარქსისტები, რომელნიც, ჩვენის აზრით, მზარს არ დაუქერენ ავტონომიის, მაგრამ არც შეეკენს ჩაუგდებენ. საერთო რიცხვი ანტიავტონომისტებისა 100-150 კაცს არ აღემატება, ავტონომიის მომხრენი კი უმრავლესობას შეადგენენ. მაგრამ... — რა საქირა პოლიტიკური ოპორტუნიზმი დი თავის თავის მოტყუება — ეხლანდელი სახელმწიფო საბჭო თითქმის ერთხმად უარზყოფს ყოველნიან ავტონომიის და ფართო თვითმართველობას. ხოლო როგორ უნდა აიცილონ თავიდან ავტონომისტებმა ეს ახალი დაბრკოლება, — ამაზე ყველას მართებს დაუქრება და რაიმე საშუალების გამოძებნა.

ციხელითა და მახვილითა

(დასხრული.)

როგორც ზეით მავისსენაით, ევარალაან ავსაგნობდა პატრატ რა რასხუბ სხა და სხა სოფლებსა პრამანდასტებანს, რასქალებს და მოწყალებს დებას დასაქრად, ხალხისათვის ახრადის ჩამოსართმევად და სხვა და სხვა გაღას ხალებან მისკროგელად. ერთა ამგვარა რასმა გაავსაქან სოფელ ტაში ერთ უმარვალ: ფიანს ს უფროსობით, რომელიც მკუმი დინი, (რუსი არ გეტანათ). რასშმა აფიანს ქვედა კახაკუბა და სხვადათუბა. კახაკუბს მუკლ-მოუკლათ სოფელი, რაც გასამარცკო უფელა, გუძრევით, მაგრამ ქალება ვერ უზაქანათ. უსინადასო ადამიანი ეველგანას ვაღც მისულა და უოქაქანს კახაკუბისათვის: ამ სოფელას ქალები ევლას ტუქა გ. იხინხა, აქვე ახლას, წმინდათ და გახეჩათათ. კახაკუბა, რიცხვით ორმოცდაათ კაცმდე, წაჭადაიან ამ ვაქ-ბატონს და მისულან ამ ტუქში. აქნამდელია ჩადრობა გუძრავით ქალებზე. მკობრტუქიან ვარშუბო ტუქს და ევირალიათ

და კივილით, როგორც იმერეთში კურდღელზე ხადრობენ, ერთი ერთმანეთს უსწავლებდნენ თურმე. როგორც თხილთაში ვიტყვით, ბადას ქალებს ვხვდებით, ანუ მომწველურები მუში და სულგანბუნები უკლავს თავის ბედი-ბადას. ვინ იცის, რითი გათვლებოდა ეს საზოგადოება ამათი, აფიგურს რომ არ ცავთ და სხობად ქალებს წმინდა გიორგივით არ მოაღიხებოდა. როგორც კი ცავთ ეს ამათი, მამინე თავი მოაუარა თავის როტს და ჩაბრის ნაბიჯით გაეშურა ტუჩებზე. კახაკები შორეულ ხანებში არ შეეძინეს და ნადრობას განაგრძობდნენ, მაგრამ აფიგურს უბრძნა სსლდათებს თათებში ცეცქენათ და ცადაჭრით გამოეხსნა განხეცვებულ კახაკებს: თუ ამ სათაში უკან არ დაბრუნებულხართ, უსათუოდ ამოგხრავთო.

— ამოგხრავდა კიდეც, ადრეუბით წარმოსთქვა აფიგურმა. მერე რაც უნდა მომხვდებოდა. ერთს არ ცადაჭრებდა ცოცხალს. წარმოადგინეთ, რა საზოგადოება, რა სიმხეცა!

ბეგრის ამგვარ კეთილშობილურ გონივრით გამსწავლული აფიგური, თუ მთელ რუსეთის სრობას არ ვიტყვით, იმ ჯარში, რომელიც „საქართველოს მეთრეფ დასაპრობად“ გასაგნეს? ზეგნით მხოლოდ იმ აფიგური, — ერთი მათგანი შოლანელია, მეთრე — მამუდაიანი!

ერთი თვასს, რომელიც აქ არ გეინდა დავასხელოო, ქეთისისში მოგვხვდებით, როგორც გადმოგვცეს, 9-10 წლის ემაწვილი. მშობლებს მოუსურრებოთ მფელი თავის სოფელში დასაფლავებისათ და ქეთისიდან რეინის გზით ჭითურაში მოუხერხებოთ; აქედან საშელოვანად მრგვალია სოფლისაკენ თქვათ გამოსაგნებულა. შრომისათვის გზაში შეხვედრია კახაკთა აფიგური რამდენიმე კახაკით, რომლებიც სოფლებში დანაგრძობდნენ და ხალხს აწიოკებდნენ. აფიგური ცადაღობებია წინ და შრისხანე ხშირ დაუძახნია: შეგნადით! ეგ რა მიგაქვთ, დადეთ კეობი ძირს! ალბად იარალი მიგაქვთ, განხრთეთ კეობი და ვეგლად იქ შეიფინი! — მიუბრუნდა ის თავის მხლებლებს. კახაკებმა დაურეს და ვეგლად დახმრეკეს. კეობს ახადეს თავი და მიცვლდებოდა ბავშვი ამოიღეს, კეობ ამოქოთაეს. ვერც მშობლებს ტანჯულმა სსხემ, ვერც მიცვლდებულს ცოცხა გვამმა, ვერც შეშინებულმა მფელმა ვერ შეაგნა „შინაურ და გარეულ მტრებისგან სსმობდის და მცვენი“ და ხელი ვერ შეუშალა გეთელათ და სინა შირთხეობს, სარწმუნოებას და უბრალა ხრდილობა. — კასწით სხდა! — უბრძანა აფიგურმა შრომისათში მქოთ და თავის ცხას გაუღდა ამათი, შრისხანე, რადგან თავისი მოვალეობა ხელმწიოთისა და სსმობდის წინაშე „სინდისორდა“ და კეთილად შესრულა.

მოკვლას, წამებას, ცადაჭრა-ცადაჭრავას, ქალების ცადაჭრითურებას იმერეთში უფრო მეტი ადგილი ჰქონდა და უფრო დაუყო-ცავი და უფროაქალი იყო, ვიდრე ქართლში. ჯარის უსინდისო მოქმედებას სსზღვარს არ ჰქონდა. დამიანებზე ისე ხადრობდნენ, როგორც ნიტობზე. ვინც მოხვდებოდათ ხელში, რამხელი იყო, რეჟალურდობური თუ შრომაგანდისტი, ადარავის არხევენ. სახერეში მესსტურებას შეიძენეს ბასარში ერთი კაცი, გვარად გამხე-ლიძე, რომელიც დამე დარავად იღვა, წაიუვას და დ. წერეთლის თაყაში მტკაღეს; მერე, ალბად სსმობიკილი, მუბიით დახერ-ტეს. ცხახე მიდიდა იმ მტკავრი, კახაკები რომ დანახეს, შეეშინდათ და ღობეს ამოეფრენ; კახაკებმა დაუწვეს სროლას და არივე მოქვლეს.

სოფ. თხილთაში კერ აწამეს და მერე მოკვლეს მოხეცვლები კაცი, რადგან სსხელი დაგანებელი, აფიგურული ქართული თათი უმხერეს.

ვისაც დაბეგრდნენ, წამოაუგნდნენ, ვითამ ცხემში მოგვრესო, და ცხაში ჰქვავდნენ. სახერეში ანაჭირეს თავ. ნ. წერეთელი და ქაშუშაქ (რამხელები იყვნენ), წამოაუგნეს ეგორილში. ცხაში

მოიღაპრეს კახაკებს და ცადაჭრევიტეს მათი მოკვლა. ვერ დაუწვეს ცემა; შეიძლე მოკვლა რომ დაუბრეს, ქაშუშაქ კვლავ ცადაჭრდა; წერეთელი კი შემოეხება ერთ კახაკს კისერზე ტუჩები და მუბები ამგვარად აიცილნა. აქტიურად ქაშუშაქს თათები დაუშინეს, მაგრამ ვერ მოატრეს. ქაშუშაქი კაციცა და თათის გამომხსნელად სსმანრო სსმამოთფელიძე.

სოფ. მასეთში ერთ გლეხს ცადაჭრეს სსხლი; — ანთებულ ხალის კონს შეგდეს მიც; მტრთაში შეგარდა სსხლი, უხდდ ჩაქრო ცეცხლი, კახაკებმა კარბა ცადაჭრეს და სსხლის მტრთაშიც მიც გამოწვეს.

სოფ. დურგში მივიდნენ კახაკები შრომაგანდისტი ლ. ა. შვილს ეძებდნენ. მოუხერეს თავი გლეხებს და გამოეხსნა: უნდგვიხერხეთ, იმეილი სად იმალეობა. ვერავინ ვერ უთხრა. მამა დაიჭირეს იმ გლეხი, ხელ-ფეხი შეეკრეს, თავები ხეზე გადადეს და ხმლებს ღესვა დაუწვეს, აბა რომელი მოგვეთავთ თათის მოქრეუთა. შეიძლე მოკვლა ცადაჭრეს და ხმლების უთათი სტემეს, რომ თვე ხსხვ რი აწვეს ლოცანში.

სოფ. დურგში შეცვადნენ კახაკები ერთ გლეხის თაყის ცოლი შელოცინეს იწვა. კახაკები რომ დანახა, ზეზე წამოგრდა კახაკებმა დაუძახეს: მოხიხი, მოხიხი-ა. ქმარს ჰგობოთ, ქადაცაბტორობს უნდათა და ისე უმოქვინა მსხე ამ სენას, რომ ზეზე შეიქრულა. ხს და ხს კარვად არის, მაგრამ ხსდახს მიმლებს, გამოგარდება კარში, დარბას სოფელში და ჰვეირის: კახაკები შიდას, კახაკებო. შორეულად, სსამ სოფელი მიხვდებოდა რაში იყო სსქე, ხალხს ერთი ყრამიშელი შეუდებოდა: სოფელ-კარბოდენ ზოგი ტუქში, ზოგი სსდ. შეიძლე კი შეეხევენ და შრადლებს ადარ აქცევდნენ.

უკანასკნელ ხანებში სხვა და სხვა ორგანიზაციებთან ერთი ზესტრეფის და სხვა ადგილებში შესდვა მოწველების დების წინ შრომაგანდისტებს და რამხელებთან ერთად ამ ქალებსაც სსსტვად სდვენდნენ და სსდც მანსწრებდნენ, უმოწველოდ ეწერობდნენ დაუჭროთ რამდენიმე მათგანი, ხასსთა ვაკონში და ზესტრეფის მოწვევად. ჯარის კაცი მთ აწვალებდნენ ცხეში, დასცილდნენ მთ სსვლადობას და მანა თვალთ ვერ უდქროდა თურმე. ერთ სსლდათა სოჭვს თავის ამხანაგებში: თავის დედა ვერ წარმოადგინდა; თუ როდისმე დამახა „ბრამინა“ ხსლხე მკვრებდა, როგორ უნდა ეწველებინა ამ სსლდათს, რა სსსწრეკეთილდემის უნდა მასულაო ემაწვილი ქალი, რომ სსლდათისთვის ხელზე ეკლნენ.

აფიგურების და ჯარის კაცების თავდასკვლობას სსსვლარს აქვს. დამიანად არავის სოფლიან, მხეცურ ბისტრქტობისთვის ადრე მიუშვით, ადარც თავის რცხენათ და ადარც ხსლხისა, ადამიანზე უსსდაკლეს ცხთველი არავერი უაფილია, თუ მას ხსხე ბრბო შეეჩენება არა აქვს ან თუ განთინს დასახას არ ეშინია. შემთხვევაში აფიგურები ცადაჭრებს ჯარის კაცებს.

მოკითხრბობთ იმ აფიგურის საზოგადოარ საქციელს, რომელ მოქმედ თქვენ მონილი მონა ცასლდით. წიფის სსდგურზე რინის ცხას ერთს მოხელეს ადგომას მესამე დღეს წვეულება ჰქონდა. მსმინდელს და მტრებელი ჰქვავდა ბუგრი სტუქმარი, რომელ შრომის რამდენიმე ხსლცხდა გასათხფორა ქალი იყო და იმის დედა, რომლებიც ერთი როტა სსლდათთ წიფის სსდგურზე დანან. ამ აფიგურების ვერებები ვერ კავიგე: ან კი რა სსსწრობ ცოდეო. დასხვადით სუფრსზე მსმინდელი სუფით და გულ უმსმინდლებოდა სტუქმარს და, რადგან იცოდა, რომ დამტრეფი აფიგურებს დვინის ცადაჭრა უფრდათ, ცდალობდა, რაც შეიძლე მეტი დვინთ დაეღვივებოთ. აფიგურებს მსლე მოკვდით დვინთ ვერ ერთმანეთს დაუწვეს კონცა, შეიძლე ემაწვილ ქალებზე კაცი ვიდნენ. ხს ერთს მოხვედნენ ხელს, ხს მეორეს და ცდალობდა

კვლამ ჩაეკითხო. ქალები წამოცვივდნენ სუფრადან და გავარდნენ
 შიშველ თათხში. ეს ძალიან იწუხებენ დარსკვალს სტუდენტებს და გა-
 ზრდულად: „Надуйте сюда барышень“ — ჰუიროდნენ ისინი და
 რაც რამ სუფრასზე ელაგა. ამტვრევდნენ. შეუიძინა ან იყო,
 ქალები შემოვიდნენ თათხში, მაგრამ სუფრასზე აღარ დასხდნან.
 მასინ აფიერებენ წამოვადგნენ სუფრადან და, როგორც ქარი წიწვილებს,
 დაერივნენ ქალებს. გაჩნდა ერთი წივილი-კვილი და სირბილი თათხ-
 ში. სუფრასზე სხვათა შორის ეჯდა სტუდენტი ქ — შეილი; გულან
 უქანა აფიერების უტიფარ ქრევას და მიუბრუნდა აფიერებს შემ-
 დგენი სიტყვებით: ბატონებო, თქვენ იქნებ გკნობათ, რომ ისეთ
 თანხში მოხვედით, სადაც შეტვიდით თანხ ვეკლავთის ნება მის-
 ნით? აქ თქვენ ხართ ბატონებო თანხში, ეს არ დააკაწოთ და
 დაბრუნდით, დროებო გვატარათო. აფიერებმა ეს დარბება შე-
 ტად იწუხებენ, იძვრენ ხმლები და გაქანენ სტუდენტისკენ. სტუ-
 დენტი შიშველ თათხში გაიფიქრა, მას გაჭვენი ქალებიც. აფიერებმა
 შერ შამტერ-შამტერადეს იქაურება, შემდეგ გარვიდენ კარში, დაუ-
 ძახეს მთელ რატას და სადგურს შემოახვიეს, თვითონ კი შემოვი-
 დნ თათხებში და ძებნა დაეწყო სტუდენტს. წარმოიდგინეთ, რა
 დღე დადგებოდათ იქ მეოფ ქალებს, — ზოგს ისტერია დაემართა,
 ზოგს გული შეუწყუნდა და წვლით აბრუნებდნენ; სტუდენტი და რა-
 შენიამე უმაწვილი ქალი კი გავარდნენ გარეთ დამე თავდაუხურავები
 და მთლიან სადგურსზე ფეხით ჩავიდნენ.

განმტვრენით ამის შემდეგ ვახსოვს და სადაც! რა მოკითხ-
 ვებით ამ მსიერებს, როდესაც მათი განმანათლებელი, მათი უფროსი
 აფიერენ ამგვარი და ამგვარად იქნება! იგივესაც ვხედავდით
 ვათავებთ ამ წერილებს. ერთისა და იმავე ფაქტების აღნიშვნა
 მასწავლებელ არის. სკამბარისა მკითხველმა იცოდეს რამდენიმე მთ-
 ჯანა, რომ სრული წარმოდგენა იქნებოდა, რაც ხდებოდა და ხდება
 მამად ჩვენს ქვეყნისა. ამ ხანის ისტორია აღნიშნავს და დირ-
 ექულებად დაუთქვამს. ჩვენს სადაც ამითი უნდა დაგვიშოთილდეთ, ჩვენი
 სიანა გაუბედურებული ერთი ხომ არსად მოიბრუნება! ზოგა ამ კარ-
 ბობას რეფლექტით ხსნის, ზოგა ამბობს, მარტო ჩვენს თავს
 რომ არ არის, რუსეთშიც იგივე ამბები ხდება, და კარტ გაუ-
 ბუღა. გავუჩნდებით ჩვენს, რომ ისევე ჩვენებს რისხვა არ დაგ-
 მსახურდეს.

დასასრულ ვიტყვი მხოლოდ ერთადე სიტყვას ცნობილ შერ-
 ვილადის შესახებ. რომელიც ამ უმად მარანის მასწავ აფიერებს
 უჯს და რუსის ჯარები დასტურად დასადგენ ეს უკვე ხუთი თვეა
 ერთს უმაწვილს, რომელიც მხურვალე მანწივლებს იღებს შერ-
 ვილადის დაჭერამდე საუკუდური უახრეს; რა დაგეზრათა, აქამდის
 ბრკვილადე ვერ დაიჭირეთ. უმაწვილმა ჩადინა და სოქვა: ამის
 სინდ შეტვივლადე თავისი ამსახვებით ერთ ტუეში მოვამწვივდიეთ,
 შემდგერტეთ გარს და ხელ-ხელა ვუხლოვდებოდათ.

ოდღათამდის ვახსოვ იყო ამდენიმე სადაცა, სტრუქციკება,
 აქედით და აფიერებო. გაუწეით ამწისე და ხოსეთ ბუქქებს
 ეკლებში, როგორც ნადირს, ისე ვეპარებოდათ... ერთი წამი და
 ბრველადეს ხათვანში გავაბადით, ამ დროს მომესმა სუიერის ხმა.
 აფიერებე, — ხესე ასუდიეთ ერთი ვახსოვი და რაც ძალა ექს დონე
 ქს, აჭეუბინებს საყვირს! სადაცინ დროიყო და ტუეში გვიან-
 ულ ვარის კანებს სადაცინ საჭეულებად აგროვებდენ. შერკვილადემ
 სიანა, რასყვირეული, საყვირის ხმა, გადავარდა და წავიდა
 დი და დაჭირეთ.

რომ შეკავტობინებენ, — განავრძო უმაწვილმა, — შერკვი-
 ბე უუხელისა და ამ საფეულში ვუფო, აფიერებო, ამ დღეს
 გზანან რხუნებისთვის თივას, ბარეს, ქვების და შიორე დღეს
 შიითონ მიუღვენ, მღდა და დაჭირეთ! — ხინის მოკებით განიყო-
 ვა უმაწვილმა.

სასცილდა, არა, მკითხველო? გეთანხებით, სასცილდა. მა-
 გრამ წარმოდგენილი გაქეთ, რა დღე ადგება სოფელს, რომელსაც
 ეს ჯარი მოადგება? რამდენი სოფელი გასადგურდა, რამდენი სახლა
 გადააწვა, რამდენი ქალი გაუპატიურდა შერკვილადის ამდენ დენა-
 ში, — ეს მხოლოდ შემდეგში გამოაშკარავდება. ს.ე. ე. — ნა.

შენი იხსენი

მას შემდეგ, რაც ადამიანმა დიწყო აზროვნება, იგი
 განუწყვეტელი ეძებდა თავის არსებობისა, სიკაცობისა, ბრ-
 ძოლისა და სიკვდილის მიზეზს. პირველყოფილი ადამიანი
 ამ მიზეზს პოულობდა ბუნებასა და მის მოვლენებში, ხოლო
 კლასიკურ დროის ბერძენი ყველაფერს ხსნიდა უცნობ,
 გამოურკვეველ, უხილავ და ყოვლის შემდეგ ფაქტებით
 (ბედის წერით), რომელიც წინდაწინვე უნიშნავდა ყველა
 ადამიანს მის ბედსა და უბედურებას, სახელსა და დიდებას,
 სიღატაკს, ბედნიერებას და სიკვდილის დღეს.

ბერძნულ ტრაგედიის შინაარსს შეადგენს ადამიანის ბრ-
 ძოლა ამ ფაქტებთან, და ევრიპიდისა, სოფოკლისა და ესჩი-
 ლის ტრაგედიებიც სწორედ ამ ბრძოლასზე და ადამიანის ურ-
 ჩობასზე არის აშენებული. ბერძნებს სჯეროდათ, რომ მათ
 ცხოვრების, უბედურების და სიკვდილის ბა-
 ტონი ფაქტშია, რომელსაც სურვილს ვერ ასტეობდა ვერც
 ერთი არსება.

აღორძინებისა და რეფორმაციის ხანამ დიდებულ შექს-
 პირის კალმის მიერებით ახალ ტრაგედიის ფაქტუის ხაძირკვე-
 ლი გამოაცალა და მის მთავრად შეუღდა საამქვეყნო რეა-
 ლური ნიადაგი უწინ ფაქტში ზეციდან იძლეოდა ბრძანებას,
 ენლო კი ყველაფერს განაგებს ადამიანის სურვილი, მისწრა-
 ვება და ქრისტიანულ ელფერით შეღებილი სინიღისი, რომელიც
 დასაწყისი და დასასრულია ადამიანის ცხოვრებისა. შექსპირის
 გმირებს ამოძრავებს მხოლოდ სინიღისი, მათი შინაგანი
 ლტოლვილები, და თუმცა ისინი ებრძვიან ამ ძალას, მაგრამ
 ბოლოს ისინიც ისევე იღუბებიან თავიანთ სურვილ-
 ბისგან, როგორც იღუბებოდნენ ბერძნულ ტრაგედიის გმირ-
 ბი ფაქტუისგან. ასეთი ბედი ეწვია ოტელოს, მაკბეტს, ჰამ-
 ლეტს და რიჩარდებს. შემდეგში ორი დიდებული დრამატურ-
 გი — გიოტე და შილლერი ძალიან ნაწობდნენ, რომ ახალმა
 დრამამ ფაქტუის იღვა დაკარგა და ორივემ სცადა მისი გა-
 ცოცხლება, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მიადგია მიზანი: გიო-
 ტემ ბუნების მეტყველებაში შეტოვა და იქ დაიწყა ახალ
 იღვის ძებნა, ხოლო შილლერმა თავის გმირებს უწინდელ
 ბერძნულ ტრაგედიის ქურჭი წამოსახა და ამით დაკაყოფილ-
 და. ცრუ კლასიკური ტრაგედია ვერ კმაყოფილდებოდა შე-
 ქსპირის მიერ წამოყენებულ იღვით, მაგრამ ვერც საკუ-
 თარი იღვა შექქანა. იგი ვახვია კლასიკურ ტრაგედიის სა-
 მოსელში და გაიყინა.

ტრაგედიის მიეწველა მეცნიერება და შთაბერა მას ახა-
 ლი სული. კანტმა, ლაპლასმა და ჰეგელმა მოამ-
 ხადეს ის საძირკველი, რომელზედაც დარვინმა ააშენა თავისი
 დიდებული კანონები შთამომავლობისა და ბუნებრივ განვი-
 თარების შესახებ, დარვინიზმმა დიდი გავლენა იქონია ფი-
 ლოსოფიისა, იურისპ რუდენცისა, მედიცინისა და ისტო-
 რიასზე და მათთან ერთად სიტყვაკაბულ ლიტერატურაზედაც.
 მას მიეკვლდნენ ბალზაკი, ფლობერტი და უფრო კი ექსპერი-
 მენტალურ რომანის შემქმნელი ზოლა, რომელიც სიკვდილის
 უკანასკნელ წამამდის ერთგული მსახური იყო დარვინიზმისა.

მან გადმოიტანა შთამომავლობის თეორია უკიდურეს ნატურალისტურ ოცტომიან „რუგონ მაკარების ოჯახში“, „ტერენა რაკენში“ და სხვა რომანებში, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და განიზრახა სტენიდანაც დარვინის თეორიების ქადაგება. ზოლან თავისი რომანი „ტერენა რაკენი“ გადააკეთა დრამად, რომელსაც „რენე“ დაარქვა და სცენაზე დადგა, მაგრამ... „რენეს“ დრამისა აა ეცხორა. იქ იყო მდებრიო ახსნა შთამომავლობითის თეორიისა, სწრაფი ქადაგება დარვინისთვის, ლექციები და დარიგება, მაგრამ ხელოვნება არსად ჩანდა.

ის, რაც ვერ შესძლო დიდებულმა ნატურალისტმა ზოლანმა, განახორციელა ნორვეგიის გენიოსმა დრამატურგმა ჰენრიკ იბსენმა, რომელიც ისეთივე დარვინისტი იყო, როგორც ზოლა. მან თავი დაანება ზოლანებურ დილოგებსა და პოპულიარიზაციას და სცენაზე გადმოიტანა ის ცხოვრება, რომელსაც იგი ხედავდა თივის ინდივიდუალისტულ თვალთვლით.

შთამომავლობის თეორიის ტენდენცია ცხადად მოსჩანს იბსენის რამდენიმე პიესაში: „სახოგადოების ბურჯებში“, „გარეთულ იხვში“, „ნორაში“, „როსაერკოლში“ და „ახალგაზღვების კავშირში“, მაგრამ ყველაზე ძლიერად და ხელოვნურად ახალი დარვინისტური ფაქტუმი გამოიხატა „მოჩვენებებში“, რომელსაც ედვარ მტეიგერი ათაშანგის ტრაგედიას უწოდებს. იბსენმა „მოჩვენებებს“ დრამა დაარქვა, მაგრამ ეს სუსტი დახასიათებაა პიესისა. „მოჩვენებანი“ ტრაგედიას, სასტიკი და შეშარავი ტრაგედიას, რომელიც დრამატიზმით არ გამოუყვარდება არც „მეფე ელიპს“ არც „მაკბეტს“ და არც „ჰამლეტს“.

დასავლეთ ნორვეგიაში სცხოვრობს ქვრივი-ჩიაღვივგი, რომელმაც თავის ქმრის სახელზე თავშესაფარი ააშენა. თავშესაფარი მეორე დღეს უნდა აკურთხონ. იმავე დროს ქ-ნ ალვინგის სახლში მოდს დურგალი ექსტრანდი და თავის ქალს, რეგინას, ქ. ალვინგის მოახლეს, ეუბნება: ქალაქში შეზღუდურებისათვის განსვენებულ ბ. ალვინგის სახელზე სასტუმრო უნდა გაეხსნა და შენც წამოდიო. წინა დღეებში სახლში დაბრუნდა ქ. ალვინგის ერთადერთი შვილი, მხატვარი ოსვალდი, რომელიც რამდენისაშე წლის განმავლობაში საზღვარ-გარეთ სცხოვრობდა. ქ. ალვინგი და მისი ახლო შეგობარი პასტორი მანდერსი ჯერ იმის შესახებ ლაპარაკობენ, დაახლოვან თავშესაფარი, თუ არა. პასტორი მანდერსი ამბობს, დახლევვა საჭირო არ არის, რადგან თავშესაფარი კეთილი დაწესებულებაა და იმის დაწვას დამერთი არ ინებებს. თავშესაფარს აა აზღვევენ. შემდეგ იგონებენ ქ. ალვინგისა და იმის ქმრის წიარსულს. კამერგერი ალვინგი სამინილად გარკვენილი და სასტიკი კაც: იყო, იმასთან ცხოვრების დროს ქ. ალვინგმა დაუსრულებელი და უზოპო ტანჯვა-წვალება გამოიარა. კამერგერს თავის სახლში მოჰყავდა გარკვენილი ქალები, ლოთობდა და არაფერს არ აკეთებდა. ქალ-ალვინგმა ვეღარ გაუძლო ამგვარ ცხოვრებას და პასტორ მანდერსთან გაიქცა, მაგრამ მოვალეობის პრინციპებით გაჟღერნილობა პასტორმა, თუმცა უყვარდა ქ-ნი ალვინგი, უკანვე დააბრუნა და ამგვარად სიცოცხლე კანონიერ ქმართან გაატარებინა. ამ საქციელს პასტორი გონივრულ ქცევას ეძახის, ქ. ალვინგი-კი ბოროტ-მოკეთებდას. ქ. ალვინგი პასტორს, სხვათა შორის, ეუბნება, ჩემი მოახლე რეგინა ჩემი ქმრის შვილია და არა ექსტრანდისა, თუმც-კი დედა სხვა ჰყავს,

დაწვრილებით იგონებს თავის ქმართან უფერულს, ძნელსა და ტანჯვა-წვალებით სავსე ცხოვრებას, და ამბობს, ჩემი ქმრის ცხოვრების შედეგი ყოველგან სჩანს, მოჩვენებასავე დასურავს და ყოველივე აქაურობა მოჩვენებებით არის სავსეო ამ დროს მეორე ოთახიდან რეგინას და ოსვალდს არ მიყობის ხმა ისმის. ეს ქ. ალვინგზე დიდს შთაბეჭდილებას ხდევს. ქ. ალვინგს უნდა თავის შვილს ყოველივე უხსნას და უთხრას, რომ რეგინა ისი და არის, მაგრამ პასტორი უშლის ოსვალდი ავათყოფი კაცია. ექიმმა უთხრა თქვენი ავათყოფობა შთამომავლობითი სენია და აღერ თგვიან ეგ სენი თან გადაგიტანთო. ოსვალდი თავხარდაც მულია, სწუხს და დარდობს; მას სიცოცხლე სწყურია და იგი შობაზე აპირობს, მაგრამ ვერაფერს აკეთებს და ისიც იტყობს რომ არც თუ როდისმე შესძლებს. განუწყვეტლივ წვიმების ავდრებისა და რეგინას სიყვარულისაგან ოსვალდი უარს იტანჯება, მაგრამ მინც იმედს არ ჰპარავს და რეგინას საღვარ გარეთ უპირობს წაყვანას. ყველა ამით დატაჯულ დედა ვეღარ ითმენს და ორივეს, რეგინას და ოსვალდს თავის საიდულოებას უუბნება. გაჯავრებული რეგინა უაქტუვის ოსვალდს, რომელიც მას დარჩენას სთხოვს და გაკენილების სახლში მიდის. ოსვალდი გრანობს, რომ სასტიკი გაუთხელდება და დედას ეჭუდარება, შენის ხელო დამალეინე საწამლაი და ტანჯვას ამაყდინეო. თავხარდაც მული დედა, რასაკვირველია, უარსება, მაგრამ ამავე წუთ ტრაგედიის უძაფრესი და საძინელი აქტი იწყობა: ოსვალტვინი უუხელდება. პირდაღებული და ტახში მოშვებულ ზის სავარძელში, უახრო თვალემა ერთ წუთილისთვის მიპყრია და ყრუთ იძეოვებს: მზე... მზე... მზე... მეტი მ არ არის: თუ დედას— ალვინგს— უყვარს თავისი შვილი უნდა ტანჯვა შეუძსებუქოს, საწამლაი უნდა ძისცეს.

ასე საშინლად და სასტიკად თავდება ეს პიესა. ოსვალდი თავის გარყვნილ ძაბის ეგობებით ასე უბედურად ათავს თავის სიცოცხლეს. რად? რისთვის? რა ითა დაიხა მათე ოსვალდი და რად ისჯება ასე სასტიკად? სად არის რაიმე გამართლებელი, რაიმე ბუხებრივი კახონი? ოსვალდი არაფერსა და მამამათევე, მაგრაა, ძისგან დამოუკიდებელ თიხებზე გამო, ის სასტიკად და საშინლად ისჯება. ოსვალდი თავის ძის გარყვნილების მსხვერპლი ხდება და ტრაგედიის მასკა სწორედ აქ არის. ვახა ცოტა ჩვენ შორის ოსვალდის თუ დანაშაულო მსხვერპლი თავის წინაპართა გარყვნილებით შთამომავლობითი სენით ავადმყოფი ძალიან ბევრია ჩვენ და ეს ავადმყოფობა ხილულად თუ უხილავად, აღერ გვიან თავს იჩენს და თავის საშინელ საქმეს გააკეთებს.

„მოჩვენებანი“ მეცხრამეტე საუკუნის დრამაში ძირითად რეჟისურის ახდენს. თუ ძველ საბუქონეთში საოფოკლი ესხილისა და ვერიპიდის გმირები მათთვის უჩინარის ბედ ფატუმის მსხვერპლნი იყვნენ, თუ შტკაირის გმირები მათთან ვებნათა დეღვითა და სინილით შარცხდებოდენ, ეხლამბობს იბსენი—ამაზე უფრო ოფალური, სასტიკი, სამინილად უსამართლო მიხევი გეპუსრავს. ეს არის შთამომავლობითი სენი, რომელიც სასტიკი და საშინელია.

იბსენის პიესებში გატარებულია ბედის წერა, ფატუმაგრამ ეს დარვინისტული ფატუმი არ არის, უხილავი და ცრური ძალა, რომელიც წინდაწინვე განაგებს ადამიანს ბედისენის ფატუმი უფრო გაცილებით ძლიერი და საშინელი ვერიპიდისა და ვსილის ფატუზე. მისი საძირკველი ხეუფა ჩვენს პიესებში ხელი და ჩიერ. ოლიანაჰოლო

ფერკლნი წინაპრებისა, უძლურნი ვართ მის წინაშე. „ეს სა-
შინელებათა! — მოსთქვამს ოსვალდი. — ჩემივე დაუდევრობით
გაყვანადგურე სამუდამოდ ჩემი სიცოცხლე და ნება არა მაქვს
და არც შემძლიან — ეფიქრო მასზე, რის შექმნაც შემქმნო
როგორ ურცხვად, გიჟურად, სულელურად და ბავშვურად
დევნაზე ჩემი ჯანსაღობა, ჩემი მომავალი, ჩემი ცხოვრება. —
ოჰ, ნეტავ შემქმნოს ცხოვრება ახლად დავიწყო და აღარ
ჩავიდინო ის, რაც უკვე ჩავიდინე!“ ოსვალდი თრთის, შუ-
ბლზე იდებს თითს და განაგრძობს: „ეს სახიზრობათა, უზო-
ბო სახიზრობათა! აქ რომ უბრალო და სახიფათო ავადმყოფ-
ობა იყოს, კიდევ არა უშავს რა. სიკვდილისა არ შეშინიან,
მაგრამ ხანგრძლივი სიცოცხლე კი მწყურია. რა საშინელებაა,
რა სახიზრობათა:“ მის გვერდზე მჯდომარე დედის მისი შორჩე-
ნა უნდა ავადმყოფობისგან, მაგრამ როგორ შეიძლება იმ ავად-
მყოფობის შორჩენა, რომელიც ჩასქიდებია ოსვალდის სისხლს,
ბორცს, ტვინსა და ყოველ ასოს? ავადმყოფობა თვით ოსვალ-
დია, ოსვალდი თავის ბედის წერაა და თუ დედას უნდა თა-
ვისი შვილი იხსნას ბედის წერისგან, მან უნდა მოკლას ოს-
ვალდი. მაგრამ ქ-ნი ალვინგი მაინც კიდევ ცდილობს მის
გადარჩენას. ბედისწერა ალვინგზე ძლიერია და ალვინგიც
ემორჩილება მას. აი სწორედ აქ იმალება იბსენის ფატუმი,
სწორედ ამ აუცილებლობაში და ბედისწერის ძალაში იხატე-
ბა ღრმა ტრაგიზმი და იბსენმაც საოცარის ხელოვნებით დაა-
სურათა იგი.

„მოჩვენებანი“ ნორვეგიელებს არ მოეწონათ. ლიბერა-
ლურმა და კონსერვატულმა პრესამ ტალახში ამოკვარა
მისი ეტორი. იბსენი გაბრაზდა და მოკლე ხანში შესანიშნავი
პამფლეტი — „ექიმი შტოკჰანნი“ — დასწერა.

საავარაუკო ქალაქის ექიმმა შტოკჰანმა აღმოაჩინა, რომ
ქალაქი სანიტარულის მხრით ცუდ მდგომარეობაშია. ეს ამ-
ბავი თითქმის ყველას გაუხარდა, რადგან სანიტრიგო და სა-
ლაპარაკო მასალა გაუჩნდათ. ლიბერალი ჟურნალისტები გაუ-
შტადი და ბილინგი სიხარულით ცას ეწვიან, რადგან სენსა-
ციური საგანებთა მასალა იშოვეს. მაგრამ შემდეგ, როცა
შტოკჰანმა განაცხადა, რომ საქმის გასაწორებლად საქიროა
რამდენიმე მილიონი მარკა და რამდენიმე წლით კურორტის
დახურვა, სახლის პატრონები და ვაქრები გონს მოვიდნენ და
შტოკჰანზე იერიში ძიიტანეს. წვრილ მესაკუთრეებს ჯერ
გაუხარდათ, რომ შემთხვევა ძიეცათ ქალაქის ბატონებს შე-
ბრძოლებოდნენ და ანგარიში მოეთხოვათ, მაგრამ როცა დაი-
ხახეს, რომ შტოკჰანის აღმოჩენა მათ ჯიბეებსაც დააზარა-
ლებს, მაშინვე გინზე გადგნენ და გულუბრყვილო ექიმს
სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. ცალ მხარეს სდგას მარ-
ტოდ-მარტო შტოკჰანი თავის ოჯახით, მეორე მხარეზე
კი შეიკრება მთელი ქალაქი. შტოკჰანი დამარცხდა. კრებზე
ლაპარაკის ნება არ მისცეს, ხალხის მტერი უწოდეს, გამოა-
გდეს, სახლის ფანჯრები ჩაუშტვირეს და ბოიკოტი გამოუ-
ცხადეს. „უმრავლესობა სტუჟის! — ასეთია პიესის დედა აზრი.
ვინ არის შტეტი ქვეყანაზე, — კითხულობს იბსენი და ასეთ პა-
სუხს იძლევა: შტეტი ნაწილი გაუხათლებელი, სულელი და
უქუთა, მაშასადამე გაუხათლებელი უმრავლესობა სტუჟის
გახათლებულ უმცირესობასთან. ბოლოს იბსენს ასეთი დას-
ვნა გამოჰყავს: „ყველაზე ძლიერი კაცი ქვეყანაზე ის არის,
ვინც მარტო სდგას“.

ამ პარალოკიდან და მთელ პიესიდანაც ცხადად სჩანს,
რომ იბსენი დაუძინებელი მტერია უმრავლესობის ტრანჰისა

და დემოკრატიისა, რომელსაც ჩრდილოეთის დიდებული მწე-
რალი, ვითარცა უკიდურესი ინდივიდუალისტი, პატრის არა
სცემს და არ ემორჩილება. იბსენის არისტოკრატიული რა-
დიკალიზმი სრულიადაც არ უარჩყოფს ხალხისადმი სიყვა-
რულს, მაგრამ არც კისრის იბრის წინაშე უმრავლესობისა,
რომელიც შეადგენს ხალხს. იბსენი თავიდან ბოლომდის არი-
სტოკრატია. ის ძირიან ფესვიანად უარჩყოფს თანამედროვე
საზოგადოებრივ ცხოვრებას, მის მორალს და ბრბოის ფილოსო-
ფიას და არ სწამს, რომ მასსას ეპოქობობისთვის რისამე
გაყეთება შეესლოს და ისტორიაში შემამქმედის როლი შე-
სრულოს. იბსენის ასეთი შეხედულება არც საკვირველია,
თუ გავიხსენებთ, რომ თვითონ ის დიიბადა და აღიზარდა
ისეთ ქვეყანაში, სადაც გაბატონებულია წვრილი ბურჟუაზია.
იბსენი არ ეტრფის მასსას, დემოკრატას და უმრავლესობის
ბატონობას, მაგრამ არც კაპიტალისტებს აერის კარგ დღეს.
გახსენეთ თუნდ შემამულე მონსენი „ახალგაზდების კავ-
შირში“, კონსული, რუმელი და ვიგანდი „საზოგადო-
ების ბურჯებში“ და კოპერსანტი ვერნი „გარეულ იხვში“
და დაინახეთ, რომ უმრავლესობის ბატონობის მტერი
სასტიკად სჯის უმცირესობას. იბსენს კარგად ესმის მნი-
შეელობა თანამედროვე მსხვილ კაპიტალისტებისა, რომელიც
ისეთისავე მიუღკამლობით არიან დაბატული, როგორც წვრილი
ბურჟუაზია, მაგრამ ზნე დაცემულ და ყალბ არისტოკრატს
იბსენის კალამი მაინც რაღაც კეთილშობილურ ელფერს აძ-
ლევს, წვრილ ბურჟუაზიას კი მასხარად ივდებს და დასკინის.
იბსენის თვალში არაერთიანი მნიშვნელობა არა აქვს ჩამოაყ-
ლობით არისტოკრატს, რომელსაც ზეპიოდ აქვს დასწავ-
ლილი მამაპაპათა გენეალოგია. ის ყურადღებას აქცევს მხო-
ლოდ ზნეობრივ არისტოკრატობას, რომელიც მისთვის საზო-
მია ამა თუ იმ საქციელის დაფასების დროს. ცხადია, რომ
ზნეობრივ კეთილშობილობის საზომით ახტურვილ იბსენს არ
შეეძლო იმ ბრბოსა და წვრილ ბურჟუაზიის წინაშე ქედის
მოხრა, რომელსაც ამ კეთილშობილებასა და არისტოკრა-
ტიზმისა არა აცხიარა.

„ახა რა საფიქრებელია, რომ ადამიანი ჰეგელის და კრა-
უტეს თხზულებებს კითხულობდეს და ის კი არ იცოდეს, თუ
ვის ეკუთვნის ეს თხზულება, ქალბატონ ჰეგელს, თუ ბატონ
ჰეგელს, ქალბატონმა კრუტეს თუ ბატონ კრუტეს.“ ეს სიტყვები
ეკუთვნის იბსენს და შეეხება განთქმულ ფემინისტსა და ქალთა
ემანსიპატორს ჯონ სტუარტ მილს, რომელიც სწერდა,
ჩემ თხზულებებში ჩემ შეუღლესაც დიდი წილი უდევსო. გა-
რფენულად იბსენი ქალების მოტრფივალე არ იყო და მასხარად
ივდებდა ქალთა ემანსიპაციის კარიკატურულ ფორმებს და სა-
შუალებებს. ნამდვილად-კი იბსენი დიდი თავყანისმცემელი იყო
ქალისა და არა ერთი და ორი ჰინნი უძღვნა მას. „ჰუტვენს,
დედაკაცები, საზოგადოების ბურჯები ხართ, — კონსული მტერ-
ისკის პირით ამბობს იბსენი და ამ ორიოდ სიტყვაში სავსე-
ბით გამოიხატა მისი აზრი ქალის შესახებ. იბსენის ქალების
გალღერეთა მრავალფეროვანია, მაგრამ ყოველგან და ყოვე-
ლთვის მისი ქალი ამაღლებული არსებაა. ის ხშირად გვიხა-
ტავს ოფელიასავით უმანკოს, დეზდემონსავით ნახს, ლედი
მაკეტისავით ბოროტ ქალს, მაგრამ ამავე დროს მის წაწე-
რებში ცხადათ მოსჩანს, რომ უკმეზი და მუბლშემქმუნელი
იბსენი ერთნაირის ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობა
ნორასაც, ბერნიცსაც, ალვინგსაც, გინა ეკდალსაც, გილდა
ვანგელსაც, რიტა აღმერსსაც და ბორკმანსაც. იბსენს ხშირად

უყვარს ენერგიულ და მძლავრ ხასიათის ქალისა და სუსტ და უხასიათო მამაკაცის შედარება და ყოველგან ცხადად სჩანს, რომ ის უფრო დემონიურ ქალს თანაუგრძნობს, ვიდრე მის უხასიათო მოწინააღმდეგე მამაკაცს.

მაგრამ ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იბსენის შეხედულებას ქალის სოციალურ მდგომარეობაზე და რჯახზე. ამ საკითხს ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი იბსენის დრამებში, სადაც თანამედროვე შეუღლების მსხვერპლი ჩივიან, ტირიან, იტანჯებიან და სანარსაღს ეძებენ. ასეთ დრამებში თავიდან ბოლომდე ერთი და იგივე აზრია გატარებული: თანამედროვე სიყვარული ისყიდება ფულით, რომელშიც სიყვარულს და მასთან ერთად შეუღლებასაც დაუყარგა ქეშმარიტი მნიშვნელობა და ბუნებრიობა. ფულით ნაყიდმა სიყვარულმა დაამახინჯა ქალისა და კაცის აღზრდა, პიროვნება და ძირი გამოუთხარა ზნეობას, რომელიც ერთადერთი საძირკველია სიყვარულისა. ეხლანდელი ქალი მხოლოდ სახეირო საქონელია, რომელსაც მყიდველის მოზიდვა შეუძლიან. ის აღარ არის მამაკაცის მეგობარი, მისი ზნეობრივი ამხანაგი და ქირისა და ღონის მახარებელი. იბსენმა თანამედროვე სიყვარულის სიყალბე აშკარად გამოამხვევა „სიყვარულის კომედიაში“. მაგრამ ამ მხრით ყველაზე მეტად საყურადღებოა ინდივიდუალური დრამა „ნორა“, რომელშიც დაუნდობლად გადმოშალა თანამედროვე ქორწინების ქეშმარიტი საზრწელი და საფუძველი.

ახალგაზრდა, მხიარული და ორი შვილის პატრონი ნორა ვექლიის გელმერის ცოლია. მას უყვარს თავისი ქმარი, რომელიც თავის მხრით ანებივრებს ნორას და არაფერში ხელს არ უშლის. ერთხელ გელმერი ავად გახდა და ექიმებმა იტალიაში წასვლა ურჩიეს. საქირი იყო ფული, რომელსაც ნორა მალე მოულობს. იმან ეს ფული ერთ კაცისგან ისესხა და თავის უკვე გარდაცვალებულ მამის მაგივრად მოაწერა ხელი მარათზე. გელმერმა არაფერი არ იცის, რადგან ნორამ დააჯერა, რომ ეს ფული მამა ჩემმა დამიტოვაო. ნორა დღე და ღამე მუშაობს, კაპეიკს კაპეიკზე ადებს და იმედი აქვს როდისმე ვალი გადაიხადოს. მაგრამ ამას ვერ ახერხებს. ნორა არცაა წუხს: მან ხომ სიყალბე არ ჩაიდინა! მასუნდოდა მხოლოდ საყვარელ ქმრის გადარჩენა. მოვლენ ფულს თხოულობს და სიყალბის გამოაშკარავებით იმუქრება, მაგრამ ნორას არც ეს აწუხებს, რადგან ის დარწმუნებულია, რომ კეთილშობილი გელმერი მიხვდება ნორას მიერ ჩადენილ სიყალბის ნამდვილ მიზეზს, დანაშაულს თვითონ იკისრებს და ციხეში ჩაჯდება. ნორას უხარიათ კიდევ ასეთი დღის მოახლოვება, მაგრამ გელმერმა სასტიკად დაამსხვრია მისი იმედი. გავიო თუ არა გელმერმა ნორას საქციელი, ერთი აყალიბებულ ასტეხა: მისი „პატიოსნება შეილახა, სახელი გაუტყდა და ნდობა დაეკარგა!“ გელმერი ჯავრობს ნორაზე, შეტურაცყოფას აყენებს და მხოლოდ იმასღა ფიქრობს, რომ როგორმე ჩაჩქალოს ეს უსიამოვნო ამბავი. ამავდროს გელმერს მოსდის მეგალის წყრილი და ნორას მიერ ხელმოწერილი ყაღბი ბარათი. გელმერი სიხარულით ცასწევა, უცებ იცვლის ლაპარაკის კილოს, ნორას ურიგდება და იმასაც კი უცხადებს, რომ დანაშაული გაპატივეო, მაგრამ გვიანდა: ნორას არც დანაშაულის პატიება უნდა და არც შერიგება, მან ერთი საათის განმავლობაში კარგად დაინახა და ვაიცი რა გელმერის ეგოიზმი, უსუსლობა, უგულუობა და ნორასადმი ვითომდა სიყვარულის ნამდვილი მიზეზი. ნორას, უცებ თვალები ახელია და დარწმუნდა, რომ მათ სა-

ერთო ცხოვრებას ბლო მოედო და მათი შეუღლება არ იყო ნამდვილი კავშირი ორ მოსიყვარულე ადამიანისა. მათ შორის უძირო უფსკრული გაითხარა. ნორასა და გელმერს არას დროს არ ჰქონიათ სულიერი კავშირი და მათ ერთმანეთისა აღარაფერი ესმით. ნორამ გაიგო ეს და ყველაფერი გულწრფელად უთხრო გელმერს. ნორა გელმერს თავს ანებებს და საღამოსვე მიდის იმის სახლიდან. გელმერი ნორას მოაგონებს, რომ მის შვილები ჰყავს და, როგორც დედას, ნება არა აქვს მათ თავი დაანებოს. „ჩემის აზრით მე ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც შენ, ან ვეცდები ადამიანად გადავიქცე“, — უპასუხებს ნორა და მიდის.

იბსენის აზრით, ნორას სრული უფლება ჰქონდა ქმრისთვისაც თავი დაენებებინა და შვილებისთვისაც. ნორას არ შეუძლიან ცოლობა, რადგან მისი კავშირი გელმერთან ყალბია; მას არ შეუძლიან დედობა, რადგან იგი სადედოდ მომხადებული არ არის და ჯერ ადამიანად უნდა გადაიქცეს და მერე ხელმეორედ დაიწყოს დედობაც და ცოლობაც. თანამედროვე ზნეობისა და შორალის თვალთახედვის ისრით ნორას ასეთი საქციელი პირობითი მტკიცებაა, მაგრამ ინდივიდუალისტი იბსენი თანამედროვე შორალს არავითარ ყურადღებას არ აქცევს და მხოლოდ ინდივიდუალზე ზრუნავს და ფიქრობს.

სოციალურ დრამების გარდა იბსენი განთქმულია თავის სიმელოდიურ პიესებითაც, რომლებშიც საესტეტიკო გამოიხატა მისი ფილოსოფიური და სარწმუნოებრივი იდეები. ვისაც სურს იბსენი ყოველ მხრივ გაიცნოს და საესტეტიკო გაიფიქროს, წინის მისი მოძღვრება, უეჭვლად უნდა გადაიკითხოს მისი ნახევრად სიმელოდიური და უკიდურეს პესივიზმით აღსავსე „გარეული იხვი“, რომელშიც იბსენი იკამდის მივიდა, რომ სიცრუეს ბედნიერების აუცილებელ პირობად სთვლის; უნდა გაიცნოს მისი განთქმული ფილოსოფიურ — სარწმუნოებრივი დრამა „ბერნი“ და „პიერ გინდი“, რომლებშიც მკითხველი თვალნათლივ დინახავს უკიდურეს ინდივიდუალისტს იბსენს თავის უკიდურეს ფილოსოფიურ მოძღვრებით, შეურიგებლობით და ოლიმპისებურ სიდიადით; უნდა გაიცნოს მისი სიმელოდიური „ხუროთ მოძღვარი სოლენისი“, „პატარა ეიოლფი“, „სიყვარულის კომედია“, „გედა გაბლერი“, „როსმერსჰოლმი“, გადაიკითხოს მის შეახებ დაწერილი აუარებელი ლიტერატურა და მხოლოდ მას შემდეგ დაეთვასტეს ჰენრიკ იბსენს, რომელსაც კრიტიკოსები ჩრდილოეთის დევს და დრამის რევოლუციონერს უწოდებენ.

ჰენრიკ იბსენი მოკვდა, მაგრამ მისი სახელი იმ დრომდის ეხსომება კაცობრიობას, სანამ მის ხსოვნაში იქნებიან შექსპირი, გიოტე, სოფოკლი, ევრიპიდი და ესხილი.

ვიფელის კოშკი

მაღალ კოშკზე ცის მახლობლად ვიფელის მწვერვალზედა, როცა ყველა დამაიწყდა: ცოლი, შვილი, მამა, დედა,

ატანილი შიშისაგან, მხოლოდ პარიზს დაეყურებდი. მაგრამ იმ დროს მე იქიდან ვეღარაფერს კი ვერ ვკარგდდი.

სახლები ჩნდნენ სოკოებად, — არშიებად ქუჩა ყველა

და ზედ ხალხი დადიოდა
ისე, როგორც ქიანქველი!

რალაც ლანდად წარმომიდგა
ქალაქი და ტურფა მხარე,
ველერაინ გავარჩიე,—
ვერც მტერი და ვერც მოყვარე!

და მაშინ ვსთქვი: ნუ თუ ისიც,
ვინც ხან და ხან ხალხს შორდება
და სულ მალლა მალლა მიდის,
ორთა შუა გახირდება?

რა თქმა უნდა, რომ დაპატივავს
ხალხზე ის სწორ მხედველობას
და სიმათლით ვერ გავარჩევს
სიკარგეს და საძაგლობას!..

მუშათა კავშირები.

მუშათა კავშირებს რუსეთში ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა. მართალია, მთარობა 17 ოქტომბრის შემდეგაც კავშირების შესახებ თავის წინანდელ მოქმედებას არ იშლის, მათ მტრულის თვალით უკუ ებს და სხვა და სხვა ხელოვნურ დაბრკოლებით ცდილობს მათ თავისუფალ განვითარების შეზღუდვას, მაგრამ ცხოვრების საპირობება მთავრობის ბრძანებაზე უფრო ძლიერი გამოდგა, და მუშათა კავშირების რიცხვი და მნიშვნელობა თან და თან საშინელის სისწრაფით იზრდება.

მთავრობას მუშათა კავშირების თუ ეშინია, ამ შიშს თავისი საფუძველი აქვს. სარეგოლუციო მოძრაობის დროს მთავრობა, ხალხთან შედარებით, სხვათა შორის, იმითი არის ძლიერი, რომ მის ძალებს მტკიცე ორგანიზაცია აქვთ და ხალხი კი თავის მხრივ დაქსაქსულად მოქმედობს. მუშათა კავშირების შექმნა ხალხში ორგანიზაციის გაძლიერების მომასწავებელია და რაკი ხალხი მთავრობის საწინააღმდეგო გრძობით არის გატაცებული, ეს ორგანიზაცია მთავრობის მტერს შესამჩნევად ძალას უმატებს.

სწორედ ამიტომ მთავრობა ერთის მხრივ თუ ყოველივე დაბრკოლებით წინ ეღობება მუშათა კავშირებს, — რუსეთის სარეგოლუციო ძალები, შეორეს მხრივ, პირიქით ცდილობენ ხალხში მეტი გავრცელება მოუპოვონ ხსენებულ კავშირებს, რომ რუსეთის ყველა სწრაფი ძალას აქ მოუყარონ თავი და შეთანხმებულად მოქმედების გზა უჩვენონ.

ამ მხრივ მუშათა კავშირების შექმნა და გაძლიერება აუცილებელი საქმეა იმათთვის, ვინც ხალხის განმთავისუფლებელ ბრძოლაში პირდაპირ მონაწილეობს.

როგორი უნდა იყოს ეს კავშირები? სახდვარ გარეთის სხვა და სხვა სახელმწიფოში, სადაც მუშათა მოძრაობა არის გაძლიერებული, მუშათა კავშირებს უკვე თავიანთი ისტორია აქვთ და ამ კავშირების ორგანიზაცია შეიძლება პირდაპირ ვადმოიღოს ადამიანმა რუსეთში. მხოლოდ სხვა და სხვა სახელმწიფოში ამ მუშათა კავშირებს განსხვავებული ხასიათი აქვს მიღებული და ამიტომ ადამიანმა, იქაურ ორგანიზაციების გადმოღების დროს, უნდა იცოდეს მათი გარჩევა. მუშათა კავშირების გაცნობა გვიჩვენებს, რომ საზოგადოდ ამ კავშირების სამი ტიპია შემუშავებული. ერთი ტიპის კავშირები უფრო ინგლისში არის გავრცელებული, მეორე ტიპის

გერმანიაში და მესამე — საფრანგეთ-იტალიაში. სამივე ტიპში დიდი განსხვავებაა, რომელიც ეხება არა მარტო კავშირების მიზანს, არამედ მათ შედგენილობას და ტაქტიკასაც.

ინგლისის მუშათა კავშირები, ტრედ-უნიონები, თავს არ იმტერვენ შორეულ მიზნებით, სოციალისმის განხორციელებას თავის პრაქტიკულ მოქმედების მიზნად არ ისახავენ და მხოლოდ ცდილობენ მუშების შეკავშირებით მათი ეკონომიური მდგომარეობა გააუმჯობესონ. ამიტომ ინგლისის ტრედ-უნიონისტები ხშირად უკმაყოფილებასაც აცხადებენ იმ სოციალისტებზე, რომელთაც უნდათ ტრედ-უნიონისტთა უმეტესობისთვის სრულებით გაუგებარი რამეები მოახვიონ მუშათა კავშირებს, მუშები პრაქტიკულ მოქმედებაში შესაერთებლად თვორიულ აგიტაციით დადალონ და მუშების ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ არ იზრუნონ, თუ მუშამ სოციალისმის სახელი არ დაიფიცა და მომავალ სოციალისტურ წყობილების გახსენებაზე ახლანდელ „ბურჟუაზიულ“ კლასებს წყველა და მუქარა არ შეუთვალა.

სამაგიეროდ, თავის პრაქტიკულ მოქმედებაში ინგლისის ტრედ-უნიონებს დიდი ცოდნა და გამოცდილება ეტყობათ. ეს კავშირები „ურთიგდებიან“ არსებულ წყობილებას და მიზნად ისახავენ ამ წყობილებაში მუშათა მდგომარეობა გააუმჯობესონ. ამიტომ მთელი მათი ძალა და ცოდნა მიმართულია მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. სულ სხვაა საფრანგეთ-იტალიის სინდიკატები, რომელთაც მათი წევრები მეტძოლ ორგანიზაციებად სთვლიან. სინდიკატები ცდილობენ სრულებით მოსპონ არსებული ეკონომიური და პოლიტიკური წესწყობილება, მოსპონ თვით ეკონომიურ დამოკიდებულების პრინციპი, ვაჭრობა-წარმოების საქმე კერძო მესაკუთრეთა ხელიდან სინდიკატების ხელში გადაიტანონ, სახელმწიფო წესწყობილების მაგიერად სინდიკატების შეთანხმებული კავშირი დაამკვიდრონ.

ამ მიზნისაკენ არის მიმართული სინდიკატების მოქმედება და, ცხადია, რომ ასეთ დიად მიზნით გატაცებული კავშირები თავის პრაქტიკულ მოქმედებაში მუშების ახლანდელ მდგომარეობის გაუმჯობესებას ისეთსავე ყურადღებას ვერ მიჰქცევს, როგორც ინგლისის ტრედ-უნიონები.

გერმანიის პროფესიონალურ კავშირებს, თავის მხრივ ორნაირი ხასიათი ეტყობა, — ერთის მხრივ ეს კავშირები სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა-მაქსიმუმს იღებენ და ამით საფრანგეთ-იტალიის სინდიკატებს უახლოვდებიან, მეორეს მხრივ კი მათზე მეტ ყურადღებას აქცევენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას და ტრედ-უნიონების პოლიტიკას არ შორდებიან. თვით აებელი აცხადებს, რომ „მუშათა კავშირები ცდილობენ არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებაში გააუმჯობესონ მუშათა მდგომარეობა“. ამასვე ამბობს კულემანიც, რომელიც აცხადებს, რომ გერმანიის პროფესიონალური კავშირები მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის იბრძვიან არსებულ წყობილებაში და ამ წყობილებას ამით ურიგდებიანო.

ამ მნიშვნელობას აძლევს გერმანიაში მუშათა კავშირებს ელუარდ ბერნშტეინიც, რომელიც ზოგიერთ „მართლმორწმუნეს“ შემცდარი ან „მოლოლატე“ ჰგონია. სოციალ-დემოკრატიები ბერნშტეინთან პოლემიკაში აცხადებდნენ, რომ საბოლოო მიზანს, პროგრამა მაქსიმუმს პრაქტიკულ რეფორმებზე მეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ცხოვრების სინამდვილე, პროფესიონალურ კავშირების მოქმედება და თვით

ბებელის სიტყვა ნათლად ამტკიცებენ, რომ მართალი იყო ბერნეტონი და რომ პარტიულ პოლემიკის დროს ადამიანი ხშირად ისეთ რამეებს ამბობს, რაც თვით მუშათა მოძრაობისთვის მავნებელია.

რაკი ხსენებულ კავშირებს პრაქტიკულ მოქმედების მიზანი განესხვავება, ამიტომ თვით ეს მოქმედება და ტაქტიკაც უნდა იყოს რითიმე განსხვავებული, მართლაც, ისტორიის ტრედუნიონები არ ცდილობენ უთუოდ კანონდებლობის საშუალებით ვაიტანონ თავისი სურვილი; კანონდებლობაში ისინი პრაქტიკულად ან თითქმის პრაქტიკულად მოხაწილებას არ იღებენ. ისინი თვითონ ურიტელების მებატონეებს, თვითონ ემბარტებიან თავიანთ წევრებს და ექვის თვალთაღ უჭურებენ, თუ მთავრობამ როდელიმე რეფორმა თვითონ იკისრა და ჩაიკისრა მოინდომა ისეთ საქმეებში, როგორც არის, მაგალითად, მუშათა დაზღვევა, მათი დახმარება გაფიცვების დროს, მათ განათლებასზე ზრუნვა, მათ საქმეების შეთავაზობა. ტრედ-უნიონები კანონდებლობის მაშინ მიმართავენ ხოლმე, როდესაც თავისი ძალ-ღონით და მწარმოებლებთან შეთანხმებით უკვე ფაქტუალად შემოიღეს რომელიმე ცვლილება მუშათა ეკონომიკურ ცხოვრებაში, — კანონდებლობა არსებულ ფაქტს მხოლოდ სცნობს და „კანონდება“.

ტრედ-უნიონების მეთაურები და თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ კანონდებლობა ვერასოდეს ვერ მოახერხებს ისეთისავე სისწორით გამოხატოს მუშათა კლასის საქმიანობა, როგორც შეუძლია თვით იმ მენებისაგან შემდგარ პროფესიონალურ კავშირს, და რომ „ხვევიდან“ შემოღებული მუშათა კანონდებლობა ხშირად მხოლოდ ქაღალდზე დგას და წერილი რჩება, — მუშათა კავშირებისაგან შემდგომი და შემოღებული წესები კი უკველთვის მტკიცე და მუშათა საკითხების სისწორით გამოხატული არის.

საფრანგეთ-იტალიის სინდიკატები არამც თუ არ ერევიან კანონდებლობაში, პირიქით, უკველივით კანონდებლობის და თვით სახელმწიფო წყობილების უარს მყოფლები არიან. ეს სინდიკატები — სარეგულაციო კავშირები და სარეგულაციო მოქმედებას ადგენენ; სარეგულაციო გზით უნდათ რვა საათიან სასუალო დღის შემოღება, ტერორის საშუალებით ებრძვიან ეკონომიურ მოწინააღმდეგეთ, — ეს ხადების სოციალურ რეგულაციისთვის და ამოიყენებ, რომ ერთ დროს უნდა მოხდეს საწარმოო ისოლების ექსპორტირება; პოლიტიკურ რეგულაციას, პოლიტიკურ უფლების ხელში ჩაგდებას კი ეს სინდიკატები არც კი ცდილობენ და ვერც ეცდიებიან, რადგანაც პოლიტიკალურად უარპყოფენ სახელმწიფო წეს-წყობილებას.

ამ სინდიკატებს მიბაძვა, სხვათა შორის, პეტრობურგის მუშათა დეპუტატების საბჭომ დეკემბერში, როდესაც გამოცხადდა, „სარეგულაციო გზით“ შემოგვესო რვა საათიანი სამუშაო დღე, — უკველი მუშა მხოლოდ ხ საათს ითმავებს და ხ საათის შემდეგ საქმეს დადგება და წავაო. რაც საფრანგების მუშებმა ვერ მესძლეს, იმის მოხერხება მოინდომეს პეტრობურგის მუშებმა, — ერთ ქალაქში მოინდომეს რვა საათიან სამუშაო დღის შემოღება, როდესაც იგი მთელი დღე მუშის ზურგზე ახსნად ჯერ შემოღებული არ იყო. ეკონომიურად ჯერ განუვითარებელ რუსეთში მოინდომეს შემოღება, როდესაც ეკონომიურად განვითარებული ევროპა ამ რეფორმების განხორციელებას ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა. მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გავლენით მუშათა დეპუტატები მა-

ინც ამ გზას დაადგენ, ალბად იმითომ, რომ საფრანგეთის სინდიკატებს რვა საათიან სამუშაო დღის სარეგულაციო გზით შემოღება 1 მისიდან ჰქონდათ გადაწყვეტილი და პეტრობურგის სოციალ-დემოკრატები რაღა ხალხის ქომაგები იქნებოდნენ, თუ ამ საქმეში საფრანგეთის მუშებს არ დაასწრობდნენ.

სინდიკატები თუ უარპყოფენ კანონდებლობას და ტრედ-უნიონები კანონდებლობას იშვიათად თუ მიმართავენ, გერმანიის პროფესიონალური კავშირები, პირიქით, გასაკუთრებით კანონდებლობის საშუალებით ცდილობენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობას. გერმანიის სოციალდემოკრატები აცხადებენ, კანონდებლობა იძიება არისა საქიოო, რომ მუშათა კავშირებს თავის ძალღონით თითქმის არაფრის მიღწევა არ შეუძლიათო, რადგანაც მუშათა კავშირებთან საბრძოლველად მწარმოებლები უკველთვის თავიანთ კავშირებს აწყობენ და მწარმოებელთა კავშირები კი, ბებელის სიტყვით, იმდენად უფრო ძლიერია მუშათა კავშირებზე, რამდენადაც ცალკე მწარმოებელი ცალკე მუშაზე უფრო ძლიერი არის. პროფესიონალური კავშირები პოლიტიკურ გავლენის მოპოვებას უნდა ცდილობდნენ, პროფესიონალური კავშირები მოხაწილებას უნდა იღებდნენ პოლიტიკურ აგენტურაში და არჩევნებში, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად პარლიამენტში ძლიერი პარტია შექმნას. ამიტომ პროფესიონალურ კავშირების მოქმედებას პოლიტიკური ელფერი ადევს.

საბოლოო მიზნების და პრაქტიკულ მოქმედების სხვა და სხვაობას მოჰყვება განსხვავება კავშირების დამოკიდებულებაში სხვა და სხვა მძაბროლ პარტიებთან. ისტორიის ტრედ-უნიონები არც ერთ პოლიტიკურ პარტიას სამუდამოდ არ ემხრობიან და თავის მოქმედებაში ხან ერთ პარტიას უკავშირდებიან, ხან კიდევ მეორეს, იმის მიხედვით, თუ რომელი პარტია მათთვის უფრო სასარგებლო გზას ადგია. ამიტომ 1870—74 წწ. — კონსერვატორებთან, 1884—85 წწ. ისევ ლიბერალებთან

საფრანგეთის სინდიკატები კი — ყველა პოლიტიკურ პარტიეს ემტერებიან, — ისინი სახელმწიფო წეს-წყობილების მტრები, პოლიტიკურ პარტიებსაც ეწინააღმდეგებიან. პარლიამენტში მოხაწილებობის მიღება მოწინააღმდეგე კლასთან კომპრომისებს, შეთანხმებას ნიშნავს და ამით თუვის მუშა-კლასს და საბოლოო მიზნს ავიწყებინებსო. სარეგულაციო მიზნით გატაცებული სინდიკატები თავის გზას უნდა ადგენ და უნდა ჩაძო ჩორდენ „პოლიტიკანებსო.“

სამაგიეროდ გერმანიის სოციალდემოკრატიული პროფესიონალური კავშირები მოითხოვენ მკიდრო კავშირს პარტიასთან და მასთან შეთანხმებულად მოქმედებას ურჩევენ მუშა ხალხს. პროფესიონალური კავშირები იქ პარტიის სასარგებლოდ აგიტაციას ეწევიან და პარტიაც, სამაგიეროდ, ამ კავშირების დაცვას ცდილობს ამხარიად, გერმანიაში მუშათა კავშირები პარტიის ხელში იარაღა პარტიის გასაძლიერებლად და კავშირების მთელი ძალღონეც იქ უფრო პოლიტიკურ ბრძოლისკენ და არა მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული.

დავაკვირდეთ ახლა, თუ რა ელემენტებისაგან შედგება მუშათა კავშირები ხსენებულ ქვეყნებში. ცხადია, რომ ინგლისში, სადაც ეს კავშირები მხოლოდ საკუთარ ძალ-ღონის

იმედით არის, სადაც ისინი არც კანონდებლობისა და არც პოლიტიკის მფარველობისაგან საკუთარ მდგომარეობის გაუქმებისგან არ მოვლიან, კავშირში მონაწილეთა რაოდენობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ინგლისის ტრედ-უნიონები ცდილობენ, რომ ყველა მუშა ითვლებოდეს მათ წევრად ან მათთან კავშირს არ სწყვეტდეს. ამიტომ რომელიმე ტრედ-უნიონის სადმე მებატროასე საშუალო პირობების შესახებ თუ მოულოდებოდა, ეს ძორიგება საეკონომიკურად იმ მუშებისათვისაც, რომლებიც ტრედ-უნიონს იმ წევრებად არ ითვლებიან, ამასთან ტრედ-უნიონის წევრები ყოველთვის ცდილობენ მხოლოდ იმ ქაობებსა და სახელოსნოებში იმყოფონ, სადაც დახარჩები მუშებიც ტრედ-უნიონის წევრებად არიან. ამის შედეგი ის არის, რომ ტრედ-უნიონის წევრობა თითქმის აუცილებელი ხდება ინგლისის უკვე აღნიშნულთათვის.

სულ სხვახარად არის საქმე საზოგადოების სინდიკატებში. იქ სინდიკატების წევრებად ყველა მუშის მიღება არა სასურველად მიიხედავს. იქ მუშებში შეადგაოია „საოფეოლოჟიკო უმცროსობა“, პოლიტიკური „სეპარატიონი წინა რაზმი“. ეს წინა რაზმი თავის მოქმედებაში ყველა მუშების საერთო დისციპლინით და გადაწყვეტილებით თვალდაუხურავ ვერ დაიწვება. პირიქით, ამ წინარაზმა თავის მავალით თუნდა გარიტაცოს ხოლმე მუშათა უმეტესობა. იგი „კეკეპნის მარილია“, — იგია სინდიკატების მთავარი ძალა. ის ხელ. მკანწლების ქვეშ მოქმედობს მუშათა კლასი. ყველა მუშის სინდიკატების წევრებად გახდომა სინდიკატებში ინციტივის ელემენტს მოსპობდა და მებრძოლ რაზმის ადგილას შეკავშირებულს, მაგრამ უმოქმედო მუშა-კლასს დაუწყებდა.

გერმანიაში კი პროფესიონალური კავშირებში უმეტეს ნაწილად ისინი შედიან, ვისც პარტიაში წევრად ითვლება. იგივე მუშები ერთის მხრივ პოლიტიკურად ეყავშირებულნი არიან პარტიაში და მეორეს მხრივ კი შეკავშირებული პროფესიონალურად მუშათა კავშირში. ამიტომ პროფესიონალი იქ უფრო ძლიერად შეკავშირებულია. ამასთან ერთად პროფესიონალური კავშირები ძირითად პოლიტიკურ წევრებსაც იღებენ, მაგრამ მათს მიღებას პროფესიონალური კავშირში მიხედვით აქვს მათი „გამოყვანილობა“, „ჩაგვანება“, სოციალ-დემოკრატიულ განხილვა; ამხარად პროფესიონალური კავშირები შეუძლებელი მუშა ემხილება პარტიაში შესასვლელად.

რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს პროფესიონალის პროფესიონალური ორგანიზაციას მის კლასიურ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან? ინგლისში აღმათა კავშირები სრული დამოუკიდებელი არიან. ამას თვით ბებელიც მიიხიბვის, რომელიც ამ კითხვაში არ ეთანხმება გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სხვა მეთაურებს, — პროფესიონალურმა კავშირებმა პარტიული პოლიტიკა და საზოგადოებრივი კითხვები უნდა ჩამოიხირონ, — სამაგერონ უნდა შეტყვევდნ დადგენ მუშათა ინტერესების დაცვას, კლასიურ მოძრაობას. სამისორდ სუშათა კავშირებმა უნდა აუზვიონ გვერდი ყველაფერს, რაც ერთმანეთში ამზორება მუშა ხალხს, და მთავარი ყურადღება უნდა მიექციონ იმას, რაც მათ აკავშირებს და აერთებს, ყურადღება უნდა მიექციონ ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქორა ამიტომ, ამბობს ბეაელი, პარტიულ პრედიკის მოსპობა მუშათა კავშირი პარტიაზე დამოკიდებული და ერთ რომელიმე პარტიასთან შეკავშირებული არ უნდა იყოს. საქორა პარტიის გარეშე ყოფი პროფესიონალური კავშირები და მათი სრული დამოკიდებულება.

საფრანგეთის საოფეოლოჟიკო სინდიკატები ამასაც არ სჯერდებიან. ისინი პროფესიონალის პოლიტიკურ პარტიის ჩამოშორებას როდი ცდილობენ, — არა, მათ უნდათ სრულყოფით მოსაზრეს პარტია და მისი ადგილი დაიხიკუთროს. სოციალისტური პარტიები, მათს აზრით, ერთის მხრივ უარყოფენ თანამედროვე სახელმწიფოს და მეორე მხრივ კი აავეს სახელმწიფოში აქტივ მონაწილეობას იღებენ და სხვ ამოცანების გარდაქმნას, — ეს კი უაზრობა არის, რადგანაც არ შეუძლებელია ყოფილი ადგილიდან დაშორება იმას, ვისც ამ ყოფიში ჩამოგდარიან. ბუერჟუაზიულ წყობილების შექმნება კი არ არის საკორა, საკორა მისი მოსაზრება, საკორა მასში ახალი ორგანიზაცია შეეკმნათ, რომელიც მოძრაულ წყობილებად გადაიქცევა. ამიტომ არსებულ სახელმწიფო დამყვებულეთათა შესწორების მაგიერად ვეცადოთ ახელმწიფოს ხელიდან გამოვაცალიოთ მას და მათ ყველა უფლება და იგი მუშათა კავშირებს გადაეცეოთ. ამიტომაც პარლამენტში მუშათა წარმომადგენლები თუ არიან, სინდიკატების ბოძანეთათა აღმასრულებელი უნდა იყვნენ.

გერმანიაში, პირიქით, მუშათა პროფესიონალური კავშირები ამოძანებელი კი არა, პირიქით, პარტიის ბოძანეთათა აღმასრულებელია. პარტიის მეთაურები, მარალია, მალიან ფრანკლად ცდილობენ, არ აღიარონ საყვებელი დამოკიდებულება, მაგრამ ისინი, ვისც პარტიის პრაქტიკულ მოქმედებას ხელმძღვანელობენ, ყოველთვის თავის გაკლენას უმოზირილებენ მუშათა კავშირებს. ისინი აღიარებენ, რომ მუშათა კლასის ძერიანის ადამიანი, რომელიც ცდილობს მუშათა კავშირების განთავისუფლებას პარტიის ატორიზაციას, — მუშათა ძერიან ვისც რაფე არა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას შეეკმნის ამ გაძლიერებს.

ამავე გზას დაადგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია პეტერბურგში, როდესაც უკანასკნელ გაფიცვის დროს ცდილობდა იეაუო მუშათა დეპუტატების საერთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დაწესებულებად გამოეცხადებინა, ასევე იეცევა ეს პარტია ყველგან, სადაც მუშებს მხოლოდ იმ პირობით უშევის ეოძაგობას, თუ იანინ სოციალ-დემოკრატიულ წესზე დაფიცეს და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თეოოიულ კითხვებში და პარტიულ პროგნამის ეეეეა მუხლში ეუოოოკრილ ემად გახადეს.

დავხედოთ ესლს, თუ რა თვლით უყურებენ სხვა და სხვა ეეეეაში ისტელიგეციის მუშათა კავშირების საყვებო გამოყვას.

ინგლისის ტრედ-უნიონები, როგორც ნეიტრალური კავშირები, ცდილობენ მხოლოდ ნამდვილი მუშები იეოლიონ წესებზე და მათ გარდა იღებენ იმათაც, ვისც მუშად იეო და კლასიურ საშუალო პირობაში დაქორა, ამ ვისც მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობას კისრულობას.

საფრანგეთის სინდიკატები არა მუშა-ინტელიგენციის განდევნას მხოლოდ არ იეოკიანდეს ისახევენ და მყეოოოაში თუ კომენებე ხშიოად აგისკენ „ინტელიგენციას“, რომელსაც შექება-მოზას ემანიან. ინტელიგენციის და იალხის ამოზაობაში პოლიტიკაობის და დემოკრატიის მსუოელები მათ ერთი და იგივე გგონიათ და ხხამდელ პოლიტიკოულ კავშირების შედგენა სასუოეულად მიიხიბთ. მაგრამ ეს „ინტელიგენციის“ დევნა ინტელიგენციას არა სპობს, თვით მუშებითი ხხდენა თავისი საკუოოო ინტელიგენცია, რომელიც დასაოხებ მუშებზე გონებოივად უეოოაააააა სდვას, და ხელმძღვანელობას უეეეს მათ.

გერმანიის პროფესიონალური კავშირები ამ საქმეშიაც განსაკუთრებულად მოქმედობენ. მართალია, ისინიც „აკადემიკოსების“ წინააღმდეგ არიან ამხედრებული, მაგრამ საზოგადოდ პარტიის ინტელიგენციას“ დიდი ადგილი და გავლენა აქვს მინიჭებული მუშათა კავშირებში და ეს გავლენა მით უფრო დიდია, რომ კავშირების მეთაურებად ხშირად თვით პარტიის მეთაურები არიან.

ჩვენ მოკლედ განვიხილეთ და ერთმანეთს შევადარეთ მუშათა კავშირების სამი უმთავრესი სახე, რომელიც ევროპის სხვა და სხვა ქვეყანაში გავრცელებულია. ჩვენ დავინახეთ, რომ უფრო მტკიცე პროფესიონალური მუშათა კავშირები ინგლისში არის, რომ იქ ტრედ-უნიონები ნამდვილ ქომაგობას და ხელმძღვანელობას უწევენ მუშათა ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებას და პოლიტიკაში ნეიტრალურ ნიადაგზე დგანან, რადგანაც, მათის აზრით, ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესება და კლასთა ბრძოლა არ უნდა იყოს დამოკიდებული ადამიანის პოლიტიკურ რწმენაზე, რომელიც ყოველ ადამიანის კერძო საქმეა.

და თან და თან ასეთსავე ნეიტრალობისაკენ იწევენ პროფესიონალური კავშირები გერმანიაშიც; იქაც ცდილობენ პოლიტიკა დააშორონ ეკონომიურ ბრძოლას და პროფესიონალური კავშირები ნამდვილ მუშათა კავშირებად გახადონ.

ამიტომ როცა რუსეთში ზოგიერთნი ცდილობენ მუშათა კავშირებს სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მისცენ და სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური პროგრამა მიიღებინონ, ისინი იმ გზას ადგებიან, რომელსაც თან და თან სცილდება თვით გერმანიის მუშათა პარტია, რადგანაც იქ დარწმუნდენ, რომ ეს გზა ადამიანის პირად რწმენის თავისუფლებას სპობს და ამიტომ დასაგმობი და მასთან ერთად პარტიის და მუშათა მოძრაობის დამასუსტებელი და დამქაჩველია.

ბ. ს.

ზნეობრივ მოძღვრების ისტორია

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

წერილი პირველი

ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანა

(გაგრძელება)

მონაზონობის ძირითად მცნების—სიგლახაკის აღთქმის—დარღვევამ და სამონასტრო მამულების შეძენის სურვილმა დიდი გავლენა იქონია ბერების ზნეობრივ მისწრაფების მიმართულებაზე.

არც ერთი ქრისტიანი მაშინ ისე არ შესწირავდა რამეს მონასტერს, რომ განსაზღვრული და სავალდებულო პირობა არ დაედო, რასაკვირველია, სამუდამო სულის მოხსენებისა და აღაპის თაობაზე.

ამგვარად შეწირულობა უსასყიდლო არ იყო და ქველმოქმედების ნიშანწყალი ოდნავ-ღა ემჩნეოდა; როცა რომელიმე აზნაური ან ხელისუფალი მონასტერს მამულს ან ფულს მიარამეცდა ხოლმე, ის იმაზე კი არა ფიქრობდა, რომ ქონებრივად ეხმარებოდა ბერებს, არამედ მართლ იმაზე, რომ წმინდა მამები, რომელნიც უფლის წინაშე კადნიერ იყვნენ, მის სულს სიკვდილის შემდეგ ღვთაებას შეეფიცებოდნენ. კაცისა და ჩაუკვირდეს, ამისთანა შემთხვევებში შეწირულება კი არ იყო, არამედ სამუდამო სასყიდელი სამუდამო აღაპის გაჩენის გულისათვის. ერთის სიტყვით, ნამდვილი აღებ-მიცემობა იყო ასე უყურებდნენ თითონ შემწირველებიც; აი, მაგალითად, რას

უფლებოდა დადებული აზნაური დაფანხული გრიგოლ ხანძთელს: „ჩუქნისა არს ხორცაული კეთილი და თქუენისა არს სუღიერი კეთილი; და ეს ს შეგზავნეთ ურთაქმის: თქუენ მანაწილს გუჟუქნით წმინდათა ღოვჯათა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკვდილისა და ძუღნა ჩუენნა დარს ჟეენთა დასხმად წმინდათა თანა ძუღთა თქუენთა... და ჩუენ ადგითქუამთ ცხორებას ჩუენს და ცხორებას შეიღთა ჩუენთას“ (ibid. id.)

დაეკვირდეთ დაფანხულის აზრს: მას ხორციელი დიდება აქვს. შეძლებული და მთავრის წინაშე დამსახურებული კაცია, გრიგოლ ხანძთელს კი არა აბაღია-რა, ხორციელ დიდებას მოკლებულია, იგი სწორედ ამ ხორციელ ან ქვეყნის დიდებას გამოექცა, სამაგიეროდ იგი სულიერ კეთილით არს აღსავსე; დაფანხული კი სწორედ ამ სულიერ კეთილს არის დანატრებული, უნდა, რომ ზოგორმე შეიძინოს. რასაკვირველია, თუ ადამიანს სურს სულიერი კეთილი დაიუნჯოს, ამისათვის მან პირადად უნდა იღვაწოს, ზნეობრივად სრული გახდეს და სულიერი სათნოება დაიმკვიდროს. ამას ქადაგებდა იესო (მოვიგონოთ იგავი მდიდარ ფარისეელის შესახებ), ამას ქადაგებდენ მისი მოციქულები და სახარება. ოღონდაც სხვანაირ ზნეობრივ შეხედულობის შეწყნარება შეუძლებელია! ზემომოყვანილი დაფანხულის სიტყვები გვიჩვენებენ, რომ იგი სულ სხვა მოძღვრების მიმდევარი იყო: მას საჭიროდ არ მიაჩნდა პირადი ზნეობრივი მოღვაწეობა და წარმატება, ან იქნებ, რა კი მას ევონა, რომ სრულ სულიერ კეთილის დაუნჯება მონაზონობის საშუალებით შეიძლებოდა, დატანჯული გრძნობდა, რომ იგი სულიერ კეთილს ვერას დროს ვერ ეღირსებოდა; მაგრამ სულიერ კეთილის შეძენა სხვა საშუალებითაც შეიძლებოდა. ეს საშუალება აღებ-მიცემობა იყო, გაცვლა ანუ, როგორც დაფანხული ბრძანებს, შეზავება: გრიგოლ ხანძთელი თავის წმინდა ლოცვების „მონაწილედ ჰყოფს“, მოიხსენიებს, მის სიკვდილის შემდეგ ნებას მისცემს, რომ დაფანხულისა და გრიგოლის ძელები ერთად დაემარხნათ. დაფანხული დარწმუნებული იყო, რომ ასეთ საშუალებით იგი სიკეთის ცოდვითა განკითხვისაგან თავს დაიხსნედა, სრულს სულიერს კეთილს დაიმკვიდრებდა. ასეთ სამსახურისა და ხსნისათვის დაფანხული თავისა და თავის მვილების საცხოვრებელის, ქონების მონასტრისათვის შეწირვას ჰპირდებოდა; ამ გვარად გრიგოლი და მისი მონასტერი ხორციელ კეთილს დაიმკვიდრებდნენ. ამას დაფანხული შეზავებას ეძახის და ჩვენც შეზავების კეთილ დავარქვათ. ცხადია, რომ ეს შეზავების ეთიკა ნამდვილი აღებ-მიცემობაა, ვაჭრობა, როგორ გავრცელდა და დამკვიდრდა ეს ზნეობრივი მიმართულება, ვის უფრო მეტი ბრალი აძევს მის გავრცელებაში, მონაზონებს, თუ საერო პირთ, ამის თქმა ჯერჯერობით არ შეიძლება. ეს კვამლოდ, როგორც მხარე (ibid. და კე) ამ შეზავების ეთიკისა კმაყოფილი იყო: მონასტერს აუარებელ შემოწირულებას უქადა იგი, ხოლო ერის კაცებს სულიერ კეთილისა და ცხოვრების ახალ გზას უჩვენებდა. მერე რა ადვილი და მშვედობიანი გზა იყო იგი: არც თავის შეწუხება, არც პირად ცხოვრების წესის ცვლილება იყო საჭირო, მხოლოდ ხორციელი კეთილი, ქონება და სიძლიერე კმაროდა!

რა თქმა უნდა, შეზავების ეთიკას ქრისტეს ზნეობრივ მოძღვრებასთან არაფერი აქვს საერთო, სახარების ზემოაღნიშნული იგავი ცხადად გვიჩვენებს. ამას პავლე მოციქულს უფრო მკაფიოდა აქვს გამოაქმული ის აზრი, რომ შეწირულებასა და ქველმოქმედებას თავისთავად არავითარი მნიშვნე-

ნელობა არა აქვს, თუ რომ აღამიანს პირადად ზნეობრივი წარმატება არა სურს და მისკენ არ მიისწრაფვის: „შედათუ ვაჟა-შა ეკუთვლი მან კემა ჩემა (გლახათა) და მავსსენე ხორგნი ჩემნი დასაწუვლად და სიყვარულად არა მკაჟინდე, ანა რაჟე სარგელად არს ჩემდა“ (ა კორინთელთა XIII, ვ). დიხ კაცი რომ ეხმარებოდეს თავის უძლეურ მოყვას ან მონასტერს, ის კი არ უნდა ჰქონდეს ფიქრად, ასე, უმკველია. სულიერ კეთილს დავიმსახურებ და გცხონდები, არამედ მარტო ოდენ ღრმა სიბრალული და სიყვარული, გულწრფელი სურვილი, რომ გლახაკისათვის ეშველნა; იმ ტომ რომ პავლე პოციქულის უკვდავ სიტყვებისა არ იყოს, „სიყვარული სულ-გრძელ არს და ტკბილ. სიყვარულს არა ჰშურს, სიყვარულად არა მადღობს, არა განჯადნის, არც სარცხენელ იქმნის, არა ეძიებს თავისსა, არა განრასხნის... უფუკლას თავს იღებს, უფუკლად ჰრწმუნ, უფუკლად ესაყენ. უფუკლას მოითმუნ“ (ibid XIII, 4, 5, 7).

მაგრამ სახარების მალაღი მოძღვრება მალე შერყა. როცა ქრისტიანობა მალაღ წოდებთა წვერებმაც მიიღეს, მაშინ უნებლიედ დაიბადა საკითხი, თუ როგორ ცხონდებოდნენ მდიდრები. ყველამ კარგად იცოდა იესოს სიტყვა, თუ რა ძნელია, თითქმის შეუძლებელია, რომ მდიდარი სამოთხეში შევიდეს, თუ კი იგი თავის ქონებას გლახაკებს არ დაუურთებს და ქრისტეს არ შეუღებება. რასაკვირველია, თუ მდიდრებს ცხონების იმედი უნდა გადაეწყვიტნათ, მაშინ მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა ახალ სარწმუნოების მიღებას. ეს რომ თავიდან აეცილებინათ, საეკლესიო მწერლები გულმოდგინედ შეუღდენ იმ გარემოების გამოკვევას, თუ როდის ან როგორ შეიძლება, რომ მდიდარი ცხონდეს. პირველად ასეთი მოსახრება კლიმენტი ალექსანდრიელმა გამოსთქვა; ის ამტკიცებდა, რომ სიმდიდრე მხოლოდ ორღანოა: თუ მას სამართლიანად მოვიხმარებთ, მაშინ იგი სამართლიანობას ემსახურება, ხოლო თუ მინზე უსამართლოდ მოიხმარს, მაშინ იგი უსამართლობის მსახურად აღმოჩნდება“ (Tis é vovta πλοστως 14, 5-10). ამის დავარად ყოველი მდიდარი, რომელიც თავის სიმდიდრეს გლახაკებსა და ქველმოქმედებს მოახმარს, ცხონდება. ამის მიხედვით საეკლესიო მწერლები მუდამ ურჩევდნენ ხოლმე მდიდრებს, რომ თავიანთი ქონება გულუხვად დაეროგებინათ საქველმოქმედო საქმეებისათვის, იმიტომ რომ ისეთი მოწყობება ცოდვებისაგან იხსნის აღამიანს (პოლიკარპეს ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ, X, 2). პერმესის „მოძღვარში“ თითქმის დაფანჩულის „შეხვეების“ ეთიკის მსგავსი მოძღვრება მოყვანილი; მაგრამ პირველ საუკუნეებში მაინც კარგად გრძნობდნენ, რომ ქველმოქმედება წრფელის გულიდან უნდა მომდინარეობდეს, რომ ეკლესიისათვის შემოწირულება-კი არ იყო საჭირო, არამედ მარტო ქრისტიანეთა სულიერი სიყვითე, იოანე ოკროპირს ხშირად უთქვამს მდიდრებისათვის, რომ ეკლესიას არც ოკრო, არც ძვირფასი თვლები არ უნდა, მხოლოდ თქვენი ცხონება სურსო“ (Homil 50 in Matth).

მაგრამ ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და „შეხვეების“ მოძღვრებამ ფეხი მოიკიდა. ასე მოხდა ყველგან საშუალო საუკუნეებში, ასე იყო ჩვენშიც, როგორც ზემოდ იყო მოხსენებული. ეს მოძღვრება ძველ-ბიბლიში უჯდებოდა ქართველ ხალხს იმიტომ, რომ იგი საერთო უფლებრივ აზროვნებისათვის უფრო მისაწვდომი და გასაგები იყო, ვიდრე სახარების მალაღი მცნება, თანდათან „შეხვეების“ ეთიკა იმდენად განმტკიცდა, რომ მხოლოდ პირადი სარგებლობის მოლოდინით და სწირავდნენ ხოლმე მონასტერს ქონებას. შეწი-

რულება ცოცხალს სიქათს სასწულისაგან ახსნიდა და, თუ ვინმე ამ შეწირულს მამულს მონასტერს ყარათმუფად ან მათრებდა, მამულ-ტრუბელი უნდა ეთავადიოთ ზეციურ მამის წინაშე შემწირულის ცოდვების მასუხის შტებულად. აი, მაგალითად, რას ამბობს თავის შემწირულობის წიგნებში და სიგელში მეფე ბაგრატ IV: „რე თო ვინმე გამოჩნდეთ... და რასაცა ეამსა: ანუ რასაცა მიზეხისა მოღებთა, გინა თუ იგი ადგილი შეუცვალოთ მას წდასა ლავრასა: ანუ თუ ესე წესნი, ვანგებულნი ჩუნენი შეუშალონოთ... ცოდვათმცა და ბრადთა ჩემთა გრდამსდელნი ხართ წინაშე ათისის“ (შოიმლ. ისტ. საბ. 4, 1058 წ.). თავის მეორე სიგელში იგივე მეფე ამბობს: „უკუეთუ ვინმე რასაცა ეამსა რაიცა გუარი კაცი, დიდი გინა მცირე, ადგეს და ამას ნაქარასა ჩნსა აქცევდეს, გამცაუროსხდებოს მამაი ძე და სული წდასა, და ჩემნი ბრადნი მისკან იძაქნ დმერთმან“. (ibid. 9) ასეთსავე სიტყვებს შიოთხელი თითქმის ყველა ძველ სიგელში შეხვდებოდა.

ამგვარა ზნეობრივმა მიმართულებამ დაძაბა სინტერესო უფლებრივი რწმენა: რაკი მამულს სწირავდნენ მონასტერს ან, რაკაც სიგელებში ექნა ხოლმე, ამ წმინდანს, რომელს სასწულობისუად შენებულ იყო მონასტერი, შემწირულები და მონაზნები ამ მამულს წმინდანის საკუთრებად სთავადენ, — თუ იყო მამულის მატრონი. და თუ ვინმე განრეკვებდა და წმინდანის უფლების შედასკას განიზრახავდა და ამ მამულს მათავასებდა, რომელიც ცოდვათა შიტკების შეახებისა და საქმის განკითხვის დღის წამასარსების გულისათვის შესწირეს მას, მაშინ თვით იგი შეურაცხყოფილი წმინდანი იძებდა შურს და გადაუხდდა მავრის თავსხვად მამულს. აი, მაგალითად, რას ამბობს მეფე დავით აღმაშენებელი: თუ ჩემი, შენდამი შემოწირული მამული მითვისოს და დადებელი წესი დაარღვიოს ვინმე, „შენ, უფუკლად წმიდას ღვთის შობელად, განუფასა მასს ხარტავს, განუფ იგი ნაწილისაგან ცხვენებელთასა და შურა იძაქ, ვითარცა მგომარასა შენსა, ნესტოსს ზედა. ხოლო შენ წმინდას დმერთ შემოსილად მამოა შიო, თდეს დასჯდეს ქრისტე დმერთი განსჯად უფუკლათა ტრამთა და საქმითა, წარმოუდებ და განსჯად და, ვითარცა შემწიუხებულს შენს ზედა, ვგრეთ შურა იძიე შირათა ღვთისათა“ (შოიმლ. ისტ. საბ. 1123 წ. გვ. 19). ამ ნაწყვეტში ყურადღების ღირსია საგულისხმებრო სიტყვები „ვითარცა შემწიუხებულსა შენსა ზედა, ვგრეთ შური იძიეთა“. რათ განიზრახვად ეს საუცხოვო ზეციურ განკითხვის დღე ამ ჩვეულებრივ ქვენიურ სამსჯავროსაგან, რომელიც მაშინ საქართველოში არსებობდა? ავივე შურისძიება, ავივე ბრადმებელი, რომელიც შემწიუხებულ ბრადმებულს დასჯას იხთულობს, ავივე მამულის მატრება და ჩვეულებრივად დავიდარბა. ოლონდოც, რომ არაფრით არ განიზრეოდა. რა და მორბული იყო იმავე დროს ეს განკითხვის დღე იმ სურათზე, რომელიც იესომ თავის მოწაფეებს დაუხატა! სადაა იქ საკუთრებაზე ლაპარაკი, მამულის მომტაცებელზე და შურის ძიებაზე, ან კი მოხსენებულა იქ შურის მიძიებელი, შემწიუხებელი წმინდანი ვრთი სიტყვიეთა არ არის.

არა. ამ სურათს არაფერი აქვს იესოს მოძღვრებასთან საერთო, ეს სურათი ზეციურ განკითხვის დღეს კი არ გვიხატავს, არამედ ქვეყნიურ, დღიურ კარამსა და შურისა და სისხლის ძიებაზე დამყარებულ სსამართლობას. ამ წიდად მაშინდელი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი წარმოდგენა ზეციურ სიმაღლისაგან და სისპეტაკისაგან ქვე ჩამოვდა და მიწაზე დაეცა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რაკი სარწმუნოებრივ საქმეებს ეკონომიური და კერძო უფლებრივი ინტერეს-

სიბი გაურის. რაც უფრო მეტად განმტკიცდებოდა ასით ინტე-
რისიზმზე ზღუნვა, მით უფრო მეტად უნდა დაცემულიყო ის
მაღალი წარმოდგენა ზეციერ ღვთაებაზე, განუსაზღვრელ სი-
ყვარულსა და უშრეტელ გულმტკიცებულებაზე დავრდომილ
და უძლიერ კაცობრიობისადმი დამყარებული, რომელიც იესომ
თავის თანამედროვეებს ჩააგონა.

რასაკვირველია, ახლა ცოდვებისაგან თავის დღეწევა
ადვილი იყო ამისათვის საქმრო იყო მხოლოდ კაცს დიდი
ქონება ჰქონოდა და რომელიმე მონასტრისათვის ბერი ქო-
ნება მამულად ან თულად შეეწირა. აკი ამიტომაც მოაწყდა
მონასტრებს დიდხალი შემოწირულება: რა არა ჰქონდა ი მათ!
მამულები, სხანაჯი და სიძოვარი ადგილები. წვერილფხა და
სხვილფხა საქონელი, ყმები, საკოთარი ვაჭრები, სახლები
და ქულები. ამას გარდა ამ ქონების უმეტესი ნაწილი
სახელმწიფო და სხვა მრავალ გადასახადებისაგან და ბეჯ-
რისაგან ღანთავისუფლებული იყო, საკმარისია კაცმა თითოულ
მონასტრის შეუვალობის წიგნები გადიკთხოს, რომ დარწმუნ-
დეს, თუ რა თავისუფლად და უჭირველად ცხოვრობდენ
ბერები.

მას შემდეგ, რაც მონასტრებმა ქონების შეგროვებასა
და დაუნჯების ხელი მიჰკაცეს, მონაზნები, რასაკვირველია,
ცდილობდენ, რომ მათს საფანეში შეძლებულ და სახელოვან
გვართა შეიღებები შესულიყვენ; თავის მხრივ შეძლებულნი უკვე
ცხოვრებით დამწვრალნი და გლუასუყებულნი სიამოვნებით შეა-
ფარებდენ თავს მონასტერში და მთელ თავიანთ ქონებას სა-
ვანეს შესწირავდენ, ოღონდ კი მათთვის მკაცრი სამონაზნო
მოღვაწეობის წესი შეემსუბუქებინა. გიორგი მთაწმინდელი
მოგვითხრობს, რომ ასეთ პირებს ხშირად უნდოდათ ხოლმე
ათონის მონასტერში ბერად შესვლა, მაგრამ ექვთიმე მთაწმი-
დელი პასუხად ეტყუადა ხოლმე: „თქვენ კარნი ხართ სასული-
აგნისა და აღასუ საფასუ მისცეთ უკლასას, განსუყებით გუჯავს
ყოფათ“ (ცხოვრება იე და ფთჳქმესი, საეკლ. მუხუდუმის გამო-
ცემა 46). მართალია, ექვთიმე ასეთ პირებს არ უშეებდა მონა-
სტერში და აღკვეთაზე უარს ეზუნებოდა, მაგრამ საქართვე-
ლოში საქმე სხვანაირად მიდიოდა და მკაცრ მონაზნობის
წესი თანდათან დიდებულ და შეძლებულ ბერების გულისა-
თვის გააადვილეს. წარმოიდგინეთ გრიგოლ მთაწმინდელსა (კ.ი,
—იმ გრიგოლს, რომლის სიმკაცრე და მიუღრეცილი სამა-
რთლიანობა სახელგანთქმული იყო,—ეტყობა, რომ, ცოტა არ
იყოს, გვარი შევიდობას და სიმდიდრეს მოწყალეების თვლით
უყურებდა! აი, მაგალითად, რა უნებრა თვედორესა და ქრისტე-
ფორეს, როცა მათ ყრმა არსენი, აზნაურ მირიანის შვილი,
და ეფრემი მიაბარა აღსაზრდელად: „თუაღნი თქვენნი იყვენდ
მარალის მათხდა: და გესსენუდ დიდებულებაჲ მშობელთა მშ-
თათჲ და სარწმუნოებაჲ მათა ქრისტესა მიმართ და ჩუენ გლა-
ხკოს მიმართ“ (ცა გრიგოლ ხანძთა, პრ. მარირს გამოც.
Тексты в разрыве. წიგნი VII, კვ).

ღიბ დიდებულნი და მდიდარი მონაზნობას ეტანე-
ბოდენ, მაგრამ ამასთანავე სამონასტრო მოღვაწეობის სიმკა-
ცრის შემსუბუქებას ცდილობდენ. ეს ერთი ერთმანეთის და-
მარღვეველი გარემოება იმით აიხსნება, რომ მონაზნობას
შთაფრესი მასხა და დღეა ასრა ბუერს უკვე დაუწყებულა ქმან-
დაჲ და სწავლად აღს ესმდათ: მონაზნობა, როგორც მოწე-
სება, დუასისიერ იღუმად ძალას პატრონად მამიწიას და ის კი
იღწევდებოდათ რომ, თუ ადამიანი სამონაზნო აღქმას და-
ბრძენდეს, უფლება არა ჰქონდა მონაზონის სახელი ეტარე-
ბინა. ერთი სიტყვით გარეგნობა, მონაზონის სახე და წესი

უშინაარსოდ, სასწაულთმოქმედ ძალად გადაიქცა: საკმა-
რისი იყო კაცი ბერად აღკვეცილყო, რომ ყველა ცოდვები
მისტვეებოდა. რომ მონაზნობის გარეგანი სახე მართლა სას-
წაულთმოქმედ ძალად მიანდათ, იქიდანა ჩანს, რომ მცირე-
წლოვან. პატარა ბავშვებსაც კი მონაზონის ჩხას აქმედენ
და ბერად აყენებდენ; მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის ნება-
ყოფლობით დიდებულმა აზნაურმა მირიანმა თავისი 6 წლის
შვილი სამონაზნო ჩხით შემოსა და ბერად შეაყენა (ibid.
კვ); თვით გრიგოლი ურჩევდა ყრმა ეფრემს ბერად შემდ-
გარიყო (იქ კვ. კვ) თავის საქციელის გასამართლებლად
ხანძთელმა არქიმანდრიტმა იესოს შემდეგი სიტყვები მოიყვა-
ნა (ibid. კვ): „აცადეთ ყრმებსა მგას მოსოოთჲ ჩემდა და
ნუ აყენებთ მგათ, რამეთუ იგი ვითარცა არს სასუფრეელი
ცათა“ (მათე XIX, 14 მარკო X, 14). რა თქმა უნდა, იესოს
ამ სიტყვებს არავითარი აიშორი არ აქვს მონაზნობასთან
და სულ სხვა აზრით იყო ნათქავე. უხაია, რომ ყმაწვი-
ლებისა და მცირეწლოვანების ბერად შეყენებას არავითარი
მნიშვნელობა არ ჰქონდა, იმიტომ რომ მონაზნობის აღ-
თქმა ადამიანს ნებაყოფლობით თავის სურვილით და შეგნე-
ბულად უნდა დაედო, ბავშვებს კი. რასაკვირველია, არ შეე-
ძლოთ შეგნოთ, თუ რა იყო ან ქალწულების დაცვა ან არა
და სიგლახისა და უპოვარების აღთქმის ასრულება. ყმაწვი-
ლების ბერად აღკვეციის დროს მონაზნობის ძირითადი და
და არსებითი მცნება ირღვეოდა და ამასთანავე ადამიანის
პირადობის თავისუფლება ძალდატანებით ილახებოდა. ამი-
ტომ რომ ხუთი ან ათი წლის ბავშვს ვერაინ ვერ შეატყობს,
შესძლებს ან მოინდომებს თუ არა, რომ თავისი ქალწულება
დაიკვას შემდეგში და სრულს სიღარიბეში აღირჩიოს ცხოვ-
რება. ამგვარად მონასტრებში ისეთი ბიბები იყვენ ხოლმე,
რომელნიც ძალად იყვენ მონასტერში შეყენებულნი.

მაგრამ მონაზნების მისწრაფრება და მიმართულებ-
ბა ახსენ არ შეჩერებულა. მონასტრების დამფუძნებლები
და მამასახლისნი ხედავდენ, რომ ბერები სამონასტრო
მამულების მოვლას და დამუშავებას ძალიან ბევრს დროს
ანდომებდენ, სამეურნეო და საგამგეო საქმეში ამასთანავე
ისე იყვენ გარუღნი, რომ ხშირად სრულებით ავიწყდებო-
დათ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა და დადებული აღთქმა
და მუდმივ ერთმანეთის კაცებაში და კილავში იყვენ. რომ
ეს თავიდან მოეშორებინათ და მონაზნები მშვიდობიანად ყო-
ფილიყვენ და მარტო თავიანთი აღთქმის ასრულებაზე ეზრუ-
ნათ, მონასტრების დამაარსებელნი და მამასახლისნი ცდი-
ლობენ, რომ ბერები სამეურნეო საზარუნავსა და მამულის
მოვლა-შემუშავებას დაეშორებინათ. სამონასტრო მამულების
გამგეობა და მოურავობა ერისკაცებს ჩააბარეს, ბაღებში, ვე-
ნახებში და მიწდვრად მუშებს ამუშავებდენ ხოლმე. ყველა-
ფერი მხა-მხარეულად უნდა მოჰკომეოდათ წმინდა წამებს,
„რათა ღვთისათჳს ოდენ ვანკუთენილნი, მს მხოლმოს, იუნიერ
საწუთრომას ზრუნვას, ჳზრ. ხეიადენ (და წინაშე ღვთისა) მეოხე-
ბად კანაუკ იყენენ (1123 წ. დავით აღმაშენ. ანდერძი, შიო
მღ. ისტ. საბ. 16). დავით აღმაშენებელმა თითონ განსაზღვ-
რა და გაუკვეთა, თუ რამდენი პური, ღვინო და სხვა ყო-
ველგვარი საზრლო უნდა მისცემოდა დღიურად შიომღვიმის
მონასტრის ბერს. (შიომღ. ისტ. საბ. 16—17). ამაირადვე
უზრუნველ ჰყოფდენ ხოლმე ბერებს მეტადრე ყველა კერძო
ანუ საკუთარ მონასტრების დამფუძნებლები. ამაირი კერძო
მონასტრები—ზემომოყვანილ გრიგოლ ხანძთელის სიტყვე-
ბის წინააღმდეგ, რომ მონასტრების დაახსნება მხოლოდ გლა-

ხაკებს შეუძლიანთო, — ბლომად იყო საქართველოში. მაგ., მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს ნუსხიდან ცხადად ჩანს, რომ სამცხე-საათაბაგოში ყველა დიდებულ აზნაურთა გვარებს თავიანთი საკლთარი მონასტრები ჰქონათ (იხ. Баградзе Археолог. пути. по Гурии и Аджарѣ, გვ. 79 - 80). რასაკვირველია, თითოეულ კერძო მონასტრის პატრონი ცდილობდა, რომ სხვებისათვის ბერების მზრუნველობაში ეჯობნა, და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ვაჰანის მონასტრის პატრონი მის მიერ აღწერილ სამონასტრო ტიპიკონში ამბობს: მე „ყოფილია“ კერძო უზრუნველებისა და უმარტობის მშობელია მძებნელ ვარ და რათა არა რათა იუენენ ნაკლულავენსა გაუჩინე სწავლად... ეგრეთვე ჰურობა და ღვინოა გაუჩინე, რათა შეგეშინდეს... (შრომ. ისტ. საბ. 34 — 35). სამონასტრო მამულების მოვლა-მორაობაზე იგივე ამბობს: „სიფელთა და ავანათა მიწა მონასტრისათა სხინად ვადა სხელსიფელად ნუქვა დაეს დაადგინეს მონასტრისა, არაჲჲდ უნდა ვაქნის დაადგინებოდენ“ (იქ 39).

თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ სახელგანთქმულ დედოფალმა ვაჰანის მონასტრის მამულები და ყველაფერი უზრუნველყო, ბევრი დიდი სიძღვრეები შესწირა და „შეუმხნა ტრავებისა შემოსავლინი“ (ქარ. ცხ. ბ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 462).

აი სიძღვრეების მიიყვანა, აი რით დაზავდა მონასტრის წაღვი, რომ სხვებზე და სრული ვაჰანისა იქნა და ეფუძვრა უთანხმოებისა და შურის მიხედვით მათსათა: მონასტრის სრული ურეყოფისათა. მათ ეგონათ, რომ „რაკი ბერებს არავითარი ქვეყნიური საქმე და საზრუნავი არ ექნებათ, მაშინ ისინი მხოლოდ ღვინოებსა და ზეცაურ სასუფეველზე იფიქრებდნენ და მათს ზნეობრივ სისხეტყვეს არაფერი არ შელახავდა.“

ავ. ჯავახიშვილი.

(შემდეგი იქნება)

დედა-მიწა და სიმბაძე

მე ვარ დედა, მშობელი ყველასი: რაც, კი თვალით ჩანს, თუ არა ჩანს, ყველას ჩემს კალთაზე უძებს თავი, ყველა ჩემით სულდგმულობს, არსებობს, საზრდობს. შემომქმედმა მე დამბადა ყველა აჩსთა სიცოცხლის წყაროდ. გარეშე ჩემსა სულ პატარა მწერსაც კი სული აოპანდება. ამიტომაც არის რომ დედას მიწოდებს ყოველი არსი. ვამაყობ ჩემის თავითა, ჩემის სახელით.

მრავალი აუარებელი საქმე მაქვს, დიდი მძიმე ტვირთი მკიდია ზურგზე, მაგრამ არ ვდრკები, არ ვტირი, არც ვჩივი მუდამ სველი მაქვს უბე და კალთები: ჩემს გულ-მკერდზე დიან მდინარენი, სდგანან კეთენი, უნდა იდინონ, უნდა მაკვლონ, უნდა მე მოვითმინონ, ხოლო ჩემმა შვილებმა გაიხარონ ყველამ — განა თუ ერთმა და ორმა? არა, არა, მე გული მიკედება, მე ვიტანჯება, ავად ვარ, უძლეური უნაყოფო მაშინ, როცა ყველა ჩემი შვილი ერთხანად არ გაიხარებს ჩემის ამავეთ... დედა ვარ, დედა! იცი-თ-კი დედის გული როგორია? ნუ გგონათ, ყულ-მოღერებული, რქებ ზურგზე გადაწყობილი ირემი ტურფა და ლამაზი მერჩივნოს საწყალს გაქუცულს, წრუწუნა თავებს. ნუ გგონით, ნუ დაიჯერებთ!

ნუ დაიჯერებთ აგრეთვე, ნადართა მეფედ წოდებული კლან-მეგარი და გულ-მეგარი ღოამი თრითინაზე, საწყალ თრითინაზე მეტად მიყვარდეს. რატომ? იმიტომ, რომ დედა ვარ. ჩემი გული, ჩემი გრძობა სხვაა, თქვენი სხვა; ბევრჯელ ბევრს თქვენგანს რაც მოსწონს, მე მეწუნება.

ადამიანნი! თუ მე დედა ვარ და თქვენ ჩემი შვილები რატომ არ ცხობრებთ, როგორც ძმები? რად სტაცებთ ერთი მეორეს ჰარბიდან ლუქმას? რად გაქვთ ზოგს ათასი ლუქმა და სხვის ერთი? არა? ათასი ლუქმის პატრონი ვე ხარ ჩემი ამავეა, რად თავხედობ და იჩენებ იმას, რაც შენი არ არის, არც ყოფილა და არც როდისმე იქნება?... გეტყვით რაღა? შენ მტარვალი ხარ. შენ სჯალათობ, მკლგეოი ხარ ძმისა და მათთან ერთად მკლგელი ჩემის აულისა. დაიდგ გულზე ხელი, განსაჯე, იფიქრე კარგად და მიპასუხე: შენია ვე ათასი ლუქმა? შენი ღვწლი, შენი ამავეა? მე ვიწრომეო. და, თუნდ მაგრე იყოს, დეე, შრომით და ოფლით ვკონდეს შეძენილი ვე ათასი ლუქმა. მითხარი: სად იწრომე, ვის ვულ-მკერდზე ვკაწრე და ჰლადრე. — ჩემი, ჩემი! და უჩემოდ ყოველი ამავეა, როგორც ქროლია ქარისა, როგორც შობიქარ მღელვარე ზღვის ზეირთთა. ვე საბუთი მხოლოდ გულ-უზრყვილო ჩემი შვილების მოსატყუებლად გაკერა პირზე და ისინიც ტყუვდებიან. შენი შრომა მხოლოდ თამაშობაა, გართობა და სხვა არა რა. და თვით შენი შრომა, როგორც შენ, ჩემი ამავეი ხარო, ჩემი და მხოლოე ჩემი. ვინ მოგვცა ნება დანებრონი მომეტებულს ჩემს ნაწილს, როცა მე ყველას ვეკუთვნი საერთოდ, როგორც დედა...

ვიტანჯე დიდხანს, მინდა დავისკვნო, მინდა გავიხარო დღეს, მინდა ენახო, რომ ძმა ძმას აღარ სჩავრავდეს უსამართლოდ

ადამიანო! ნუ იკვები, ნუ თვალთმაქობ. ნუ ამბობ: ჩემის სისხლით, ჩემის სისხლით, ჩემის ოფლით მოვრწყვე დედა-მიწა და, მაშასადამე, მე მიკრი მიკუთვინესო. შენი სისხლი, შენი ოფლი იგივე ჩემი სისხლი, ჩემი ოფლი, ჩემი ამავეა, ჩემი ღვწლი... იფიქრე, კარგად იფიქრე! ჩაუყვარდი, ჩაუკვირდი რას გეტუბნები.

ადამიანო ნუ ამბობ, ეს მიწა ჩემის ხმლით დაქრილი მაქვსო, ხმალი?! ჰმ! ისიც ჩემი ამავეა, ჩემს აულ-მკერდიდან ამონაწოვი და ამოღებულა. შენ მარტოს არა გაქვს უფლება სთქვა, ეს ჩემია და მარტო ჩემიო. ეს შეუძლიან სთქვას მხოლოდ ერმა და მარტო ერმა, რადგან ერი ჩემი შვილია და მე, — დედა მისი... მხოლოდ ერს შეუძლიან სთქვას: მაშული-სთვის და დედა მიწისთვის სისხლი დავღვარეო. ისიც ნამდვილს ჩემს შვილებს; რომელიც მე მივარავენ მტაცებელთაგან. ჩემის ზედა-პირის პატრონი, ჩამობანდო შუაგულში და იქაც იბატონე, ინავარდე, აკრიბე დაღები... რატომ არ გაძებდაე, — გეშინიან? შოო, საშიშია, არა? იქ ცეცხლია, — დაგწვავს! აილე ხელი უსამართლობაზე, რათა ის ცეცხლი არ გაშლავდებო მალა, ზევით მტარვალთა დასაწველადა...

როცა დედა-მიწა ამას ამბობდა, შავი ნისლივით კუმბრავით ნისლი მოაწვა და იქიდან მოისმოდა დუღუნი, ბუზლუნი უსიამოვნო კლართი ნათქვამი ხმები: რას ბრძანებთ? ქალ-პატრონი, არ გეკადრებათ. როგორ შეიძლება მაგ ნაირად ქვეყნის გაბრიყვება: მე მიყიდნა, ფული მი-მიკია, სულ ბა-ვადლო ოქრო. მაშ ეს არაფერი? მაშ ფულს მალა არა აქვს? მაშ მე ოხერი ვყოფილარი? აულო ხელი! უსამართლობაა, დიდი უსამართლობა!... განა გეკადრება ამისთანა უსამართლობის ჩადენა? არ გეკადრება. გეთაყვა ქუთინად ილაპარაკე ნუ არეე ქვეყანას, ნუ ვადაპრეე... რასათქმელია, როგორ შეიძლება, ხრან დაილუპა ქვეყანა?!

ამ ხმის გაგონებაზე უფრო გაწყდა დედა-მიწა, ისე მე-დგრად ამოიძაბა, რომ შავი ნისლი მისი ხმის ძლიერდამ ბურთივით მალა შეათამაშა:

— რაო, რაო? როგორ ბრძანეთ, ვაჟ-ბატონო, ამბობდა გამწყრალი დედა-მიწა:— დედის ყიდვა და გაყიდვა სად გაგონილა, სად თქულა? ნაყიდი დედა... დედის მყიდველი შვილი... არა ხარ შენ ჩემი შვილი და არცა ხარ ღირსი მთელი კუქუციანის ფეხებით, ან შეგერგება შენ ჩემი ძუძუ, შენზე არამია. წადი, შორს, შორს!... სხვა დედა ვებებ მე შენი დედა არა ვარ და არც შენა ხარ ჩემი შვილი. დედის მყიდველი შვილი ვინა სთქვა შეილაღ? ან ნაყიდი დედა ვინ აღიარა დედაღ? მოტყუებულხარ, საწყალო, და მეც ბატონულებ. ჩემ ნამდვილ შვილებს მოვაკლო რძე და შენ გაწოვო? დემერთს რა უნდა ვუთხრა?... რა პირით ვუტყვირო მზეს და მთვარეს? შენ ხარ მტაცებელი, შენ ხარ მტარვალი, შორს ჩემგან! ფული წყობინე? ფული გაქვს? ჩვეს შვილებს ჩემს მტეი არაფერი შერჩათ. მიბრძანდი და მაგ ფულით სხვაგან სხვა დედა იყდე, მე ნუ მყიდულობ. ჩემი კანონიერი შვილების ერთად ერთი სიხარული მხოლოდ მე ვარ, საწყალებს სხვა არაფერი შერჩათ: მეც შენ უნდა შემისყიდო?! შორს ჩემგან, იუღაღ!

„ნუ აჩქარდები დედა-შვილობას, ან გაგაბრძოვონ, უგუ-ნურებს როდი უნდა გაგაგონო მაგისთანა სიტყვა. თანაც არა აქვთ და შენგანაც რომ გაიგონებენ, მაშინ ხომ სულ-ერთიან გადირჩევიან. მაშ არც მე ვარ შენი შვილი? ნუ თუ ჩემზედაც სწყრები? მე ხომ ნახევარი შენი ნაწილი მეფეთაგან მაქვს ნახუქარი „დეკუმენტი“, ბექდებითა და ღერბებით შემოწმებული-დამტკიცებული, ძველის-ძველად-სისხლის ღვრას ხომ ნუ იტყვი და ახავს, რაც მე დავღვარე და გაწირე შენის გულისთვის. რაღვეჯერ ხმალი ვიქნიე, ნუ თუ ეხლა უნდა გადამაღლო?!“

— როგორ?— წარმოსთქვა ამ სიტყვების გაგონებაზე კვალად დედა-მიწამ და ძლიერად შეინძრა:— მეფეთაგან ნა-ჩუქარიო? ჩემი მიჩუქებელი ბოროტმომქმედილა. რა უფლებით? თუ ჩემი თავი განუქვს მეფეებმა, ისინი ჩემი შვილები არ ყოფილან, რადგან თავის დედის ღვიძლი შვილი არას დროს სხვას არ აჩუქებს. ვინც იჩუქებს ამისთანა დედას, ის ხომ შვილად არ ჩათვლება. ვის ატყუებ? საქმითაც ხომ დამტკიცე: კიდევ იმითომ არის, რომ მყიდი და მაგირაგებ. ვინ დასთვლის, რამდენი საუკუნეა, რაც შენ მარტოკას ჩავიდე პირში და გაწოვე ცალი ძუძუ, გაგასუქე, გაგათანამე, გაგანებრივე; მეორე ძუძუთი-კი ათი-ათასი სული ვასაზრდოვე და ვი ასეთს კვებას, ასეთს საზრდოს: დავაბეჩავე. დავსაწყალებ იმოდენა შვილები შენის გულისათვის. შენ ყელ-მოდერებული დაპბანდები, ხოლო ისინი თავ-დაქინდრულნი, დაშავებულ-დაბეჩავებულნი. გეყო შენც შენის ძმების ჩავგრა და უნდა დასჯერდე იმ კერძს, რასაც დასჯერდება ათასი და ათი-ათასი. ჩემის გულისთვის ვინც სისხლი დაღვარეს, ისინი სხვები იყვნენ და შენ სხვა ხარ, შენ აღარც სისხლსა ჰღვრი და აღარც ოფლს. დაღვარე ოფლი, ოფლი მაინც რომ გიწამო, მიგიღო ისევე შვილად.

„ჩვენ რაღას გვეტყვი, დედილო, ჩვენ საწყალებს, დაჩაგრულთა, დაედრომალი-დამონებულთა? მოისმა იმავე ჯანლადან ძალიანი ხმა, ზოგი მკაცრი, გაბედული, სხვა ხრინწიანი და მიკნავებული: „რა პასუხს გვაძლევ? ჩვენ არც ფული გვაქვს, არც დოკუმენტები. აღზდილთ შენის კალთა უბით, არაფერი არა გვაბადია, მხოლოდ შენ შემოგჩერებივართ; შენა ხარ ჩვენი ქვეყნიური ღმერთი, ჩვენი პირის ზიარება, ჩვენი სულის ჩამდგმელი; შენ რასაც მოგვიწყვდი, მხოლოდ ისაა ჩვენი ბედნიერება, ჩვენი ბიცოტბლე.“

თქვენი ვარ, — სთქვა დედა-მიწამ და სდუმდა. ხოლო ჯანლა გადიდა, გასივდა, აირია, ათასნაირი ხმაურობა მოისმოდა იქიდან. ზოგი ტირილი, ზოგი სიცილი. წვიმა იყო თუ ცრემლი, მოდიოდა და დედა მიწას ასველებდა. მზის სხივი დროებით მიპალულოყო. შავად, როგორც ფისით, გაღალსილი იყო დედა-მიწა. იქვე ქალაქის ტოლა, დიდი, მეტად დიდი სასაფლაო მოსჩანდა. თურმე მკვდრებიც ამ ამბავს და ბაასს ყურს უგდებდენ და საფლავებში თავებს აქნევენ ისე ძლიერად, რომ საფლავის ქვები-კი პალლა იწვე-ლა...

ჯანლი ჯერ ისევ ჯოჯოხეთურ ხმას გაჰოსკვდა, მო-ლიოდა მშხებრად ცრემლი და ჰღვარავდა დედამიწას...

ვაჟ-ფ შაველა

რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი

გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

ფოტის სავაშ უ ვიშნაზია ახსნადებს, რომ 1 სექტემ-ბრიდან 1906 წ. იხსნება მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასები. მესამე კლასის გახსნა მსურველთა რაოდენობა-ზე დამოკიდებული. მოწაფეთა მისაღები გამოცდა (ეგზემენი) მოხდება 5 და 6 ივნისს, აგრეთვე აგვისტოს დამღვეს. მოსამზადებელ კლასში მიიღებიან 8—10 წლის ყმაწვილები, პირველ კლასში—10—12 წლისა და ასე ზევით. თხოვნები ბავშვების მიღებაზე საეგზამენოდ მიიღება თოფის ქალაქის გამგეობაში ფოტის სავაშო გიმნაზიის დირექტორის სახელზე. თხოვნასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნას მოწმობები: მეტრიკული, შესახებ წოდებისა და ყვავილის აცრისა;

დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი (3—1) ა. ა. იაკულოვი.



მოითხოვით ნამდვილი

„მოღმრინი“ მ. პ. ლეხვიძლისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძარიან-ფესვიანად, მხოლოდ ერთი კვირა უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22478. იყიდება ტფილისში — საფუარიკო საქონლის კავკასიის სავაქრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

რკინის გზით მგზავრ ქართველ მკითხველთა საყურად-ღებოდ.

დაიბეჭდა და ისყიდება სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასში სანტე-რესო ახალი თახამედროვე რეზანი ორ ნაწილად.

ცხივრება და სიყვარული

წიგნი დიდი ზომისაა. დაწერილია დღევანდელ კითხვებ-ზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულება-ზე. დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანთად, მაგრა შეკე-რილი, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. ენისამართი: Тифлиზь, книжный магазинъ „Подаръ“. Ст. Михаи-лово, первому билетному кассиру Чархишвили. (10 - 3)